პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 171 (20512) ◆ ოთხშაბათი, 26 ივლისი, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

24 ივლისს კრემლში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, მუშაობა განაგრძო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ.

პალატების გაერთიანებული სხდომა გახსნა **მ. ს. გორბაჩოვმა.** დაახასიათა რა მიმდინარე მომენტი, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში კვლავინდებურად რჩება ქვეყნის ქვანახშირის რეგიონების მშრომელთა გაფიცვებთან დაკავშირებული ამბები. ცენტრისა და საგაფიცვო კომიტეტების წარმომადგენლებისაგან შექმნილი კომისიების მუშაობის შედეგად მეშახტეთა ყველა რაიონში შეთანხმებულია ერთობლივი დოკუმენტები, რომლებშიც ასახულია გადასაჭრელი საკითხები, ზოგიერთი — უახლოეს დღეებში, ზოგი — ანალიზის ღრმა განხილვის შედეგად.

ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტია ოქმი, რომელსაც ხელი მოაწერეს ნ. ნ. სლიუნკოვმა, ლ. ა. ვორონინმა, ს. ა. შალაევმა, ერთი მხრივ, და საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარემ თ. გ. ავალიანმა და მისმა მოადგილემ ა. ლ. რუდოლფმა, მეორე მხრივ. ამ დოკუმენტში 35 პუნქტია. არის საკითხები, რომლებიც უმოკლეს ვადებში მოითხოვს გადაჭრას. დავალებანი მიცემული აქვთ კემეროვოს საოლქო აღმასკომს — მოამზადოს 1989 წლის 1 ოქტომბრამდე წინადადებანი 1990 წლის 1 იანვრიდან რეგიონალურ სამეურნეო ანგარიშზე კემეროვოს ოლქის გადაყვანის შესახებ; სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს — განიხილოს ეს წინადადებანი და მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე გადასცეს ისინი სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

მეორე პუნქტია — მიენიჭოთ სრული ეკონომიკური და იურიდიული დამოუკიდებლობა კუზბასის საწარმოებს, შახტებს, ჭრილებს სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის შესაბამისად. ამ საკითხის გადაჭრაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ქვანახშირის მრეწველობის საწარმოებს. სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ — განახორციელოს არსებული გაერთიანებების რეორგანიზაცია სხვადასხვა სახის ასოციაციებად და ორგანიზაციის ნებაყოფლობით ფორმებად; ეს სამუშაო შეასრულოს 1990 წლის 1 იანვრამდე, ფართოდ გამოიყენოს წარმოების საშუალებათა საკუთრების სხვადასხვა ფორმა — სახელმწიფო, საარენდო, კოოპერაციული, სააქციო და სხვები. კემეროვოს საოლქო აღმასკომმა უზრუნველყოს საწარმოთა და ორგანიზაციათა შემოსავლის საგადასახადო სისტემის დამუშავება. სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ დაამუშაოს ეს საკითხი ყველა საწარმოში, ამასთან მხედველობაში იქონიოს ექსპერიმენტის სახით 1990 წლის 1 იანვრიდან ახალი საგადასახადო სისტემის შემოღება.

არის პუნქტები, რომელთა გამო გადაწყვეტილებანი ან უკვე მიღებულია, ანდა უახლოეს დღეებში გადაწყდება.

ერთხელ კიდევ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, რომ მთელი მომთხოვნელობის მიუხედავად, მეშახტეთა წინადადებებს საფუძვლად უდევს საღი აზრი, რეალიზმი, ადამიანები მოქმედებდნენ პასუხისმგებლურად, რამაც შესაძლებლობა მოგვცა შეგვეთანხმებინა დოკუმენტები, რომლებიც ახლა საფუძვლად უნდა დაედოს ცენტრალური და ადგილობრივი უწყებების მუშაობას, მიღებულია განსახილველად მთავრობაში, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში. მაგრამ არის პრობლემები, აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, რომლებიც, როგორც უკვე ვთქვი, უნდა გადაიჭრას 1 აგვისტომდე, მაგალითად, მუშაობის რეჟიმის, ღამის და საღამოს ცვლების, დასვენების დღეების საკითხები, მთელი რიგი სხვა პუნქტები.

ამრიგად, ცენტრისა და შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლური მოქმედების, ერთობლივი კონსტრუქციული მუშაობის შედეგად სიტუაცია ახლა უკეთესობისაკენ შეიცვალა. მართალია, იგი ჯერ კიდევ დაძაბულია, ჯერ კიდევ დაგვჭირდება დიდი ძალისხმევა იმისათვის, რომ ყველა შახტის კოლექტივი ჩაებას საქმეში. ეკონომიკას სერიოზული ზიანი მიადგა, ახლა აქტიურად, ნაყოფიერად უნდა ვიმოქმედოთ. სხვათა შორის, თვით მეშახტეებს ეს კარგად ესმით, ისინი აცხადებენ, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა აანაზღაურონ დანაკარგები, თუმცა გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ სრულ ანაზღაურებას უკვე ვერ მოვახერხებთ.

ახლა მუშაობს კუზბასი, ყარაგანდა, როსტოვქვანახშირი, ალბათ დონბასის ნახევარი ან ნახევარზე მეტი. დონეცკში მეშახტეებს სურთ, რომ მათ მიერ კომისიასთან ერთად შემუშავებული დოკუმენტები იცოდეს უმაღლესმა საბჭომ. ხალხს გაუჩნდა, ასე ვთქვათ, უნდობლობა ორგანიზაციებისადმი, რომლებიც დაკავშირებული არიან მათ საქმიანობასთან. ადამიანებს სურთ, რომ უმაღლესმა საბჭომ მხარი დაუჭიროს შემუშავებულ დოკუმენტებს. იგივე მდგომარეობაა ქვანახშირის სხვა რაიონებშიც.

საერთოდ, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ გამოვდივართ ძალზე მძიმე კრიზისიდან. ეს იყო ყველაზე მძიმე განსაცდელი ჩვენთვის გარდაქმნის მთელი ოთხი წლის მანძილზე, იყო ჩერნობილი, იყო სხვა მძიმე სიტუაციები და, მიუხედავად ამისა, დღევანდელ ამბებს ყველაზე სერიოზულს, ყველაზე ძნელს ვუწოდებდი.

ჩვენი გარდაქმნა იცოცხლებს და იმოქმედებს, მოგვცემს თავის შედეგებს, ყველა სიძნელისა და განსაცდელის მიუხედავად. ჩვენს პოლიტიკას ხორცს ვასხამთ კონკრეტული, ცხოვრებისეული ფორმებით ეკონომიკაშიც, პოლიტიკის სფეროშიც, კულტურის სფეროშიც. ახლა ჩვენ განსაკუთრებით გვჭირდება გაგება, მხარდაჭერა, ორმაგად, სამმაგად უფრო გვჭირდება, ვიდრე ეს იყო გარდაქმნის წინა ეტაპებზე, მხარდაჭერა და გაგება მუშათა კლასის — ჩვენი საზოგადოების წამყვანი ძალის მხრივ. ამ თვალსაზრისით იმან, რაც ქვეყნის ქვანახშირის რეგიონებში მოხდა, გვიჩვენა, რომ მუშებს აქვთ სერიოზული შენიშვნები იმის თაობაზე, თუ როგორ ხორციელდება ჩვენი გარდაქმნა. ამიტომ ყველგან — სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, მთავრობაში, ყველა უწყებაში, ჩვენი ქვეყნის მმართველობის ყველა სტრუქტურაში, ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში და შრომით კოლექტივებში — ყურად ვიღოთ ეს, გავიაზროთ. ერთი მხრივ, აქედან გამომდინარეობს ყველაზე პირდაპირი, ბუნებრივი, ნათელი დასკვნა: ჩვენ უფრო მტკიცედ უნდა ვიმოქმედოთ, ვახორციელებდეთ ეკონომიკურ რეფორმას. მეორე მხრივ, მუდმივი დიალოგი უნდა გვქონდეს მშრომელებთან, დროულად განვიხილავდეთ ყველა საკითხს. უაღრესად სერიოზული კონფლიქტი, რომელმაც საკავშირო მასშტაბი შეიძინა, შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ცენტრში თუ ადგილებზე დროზე არ ყოფილა სათანადო რეაქცია იმ საკითხებზე, რომლებიც მომწიფდა და ასეთი მწვავე ფორმით გამოვლინდა.

ჩვენ უნდა გამოვიტანოთ ეს დასკვნები, ვიმოქმედოთ ახლა უფრო აქტიურად, რადგან საკითხების გადაჭრა ისეთი ფორმებით, როგორიც გაფიცვაა, დაღუპავს განახლების დიად საქმეს, რომელიც დავიწყეთ. ჩვენ უკვე აღმოვჩნდით უძნელეს მდგომარეობაში. მეშახტეებს ეს ესმით, ისინი მტკიცედ და მკვეთრად მოქმედებდნენ, მაგრამ ამავე დროს კონსტრუქციულად, კომისიებთან ერთად დაძაბულად ეძებდნენ საჭირო გადაწყვეტებს.

საზოგადოებაში სიტუაცია ისეთი იყო, საზოგადოებაში იმდენი პრობლემა დაგროვდა, რომ საჭირო გახდა გარდაქმნა, განახლება, საჭირო გახდა სხვაგვარი მუშაობა, სხვაგვარი შედეგები, სხვაგვარი ნაყოფიერება და ა. შ. სწორედ ამიტომ დავიწყეთ გარდაქმნა, რათა მოგვეხსნა ეს პრობლემები. უნდა გავზარდოთ ჩვენი შესაძლებლობანი რეფორმების გზით, გავააქტიუროთ, დინამიკა მივანიჭოთ მთელ საზოგადოებას, უწინარეს ყოვლისა — ეკონომიკას. ყოველი საკითხი, ყოველი პრობლემა, რომლებიც ახლა ხალხს აღელვებს, უნდა განვიხილოთ, რათა იყოს სიცხადე, საარსებოდ მნიშვნელოვანი, პრაქტიკული საკითხები დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას.

აი, ასეთი სიტუაციაა ქვეყანაში. ჩვენ ნელ-ნელა ვძლევთ მას, მაგრამ ვითარება ჯერ კიდევ დაძაბულია. გვაღელვებს აფხაზეთის ვითარებაც, მეტად მწვავე ფორმები მიიღო. მაგრამ იმ დიდი მუშაობის შედეგად, რომელსაც ეწეოდა საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, როცა დიალოგი გამართა ყველა ეროვნების მშრომელებთან, შრომით კოლექტივებთან, ვითარება ნორმალური გახდა, მიმდინარეობს აქტიური, მეგობრული, ადამიანური დიალოგი, აზრთა გაზიარება ქართველებსა და აფხაზებს შორის.

იმასთან დაკავშირებით, რომ მწვავე სიტუაციაში ყველამ არ დაიკავა ისეთი პოზიცია, რომელიც ხელს შეუწყობდა კონფლიქტის ჩაქრობას და ვითარების ნორმალიზაციას, განხილვის, საერთო შეთანხმების საფუძველზე განიხილეს და გადაწყვიტეს საკადრო საკითხები. სიტუაცია გამწვავდა თბილისში. ვფიქრობ, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, რომ ამ შემთხვევაშიც რესპუბლიკის ხელმძღვანელები მშრომელებთან ერთად, პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში იმოქმედებენ და აღმოფხვრიან დაძაბულობას. კიდევ ბევრი რამ უნდა იღონონ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებმა იარაღის ჩამოსართმევად, რომელიც დიდი რაოდენობით აქვს ხელთ მოსახლეობას.

სამომავლოდ დასკვნები უნდა გამოვიტანოთ, შექმნილი ვითარება შევაფასოთ, მაგრამ დღესაც, მოვლენების დროს, გარკვეულ გაკვეთილებს ვიღებთ, კონკრეტულ ღონისძიებებს ვახორციელებთ ძალების კონსოლიდაციის, ვითარების ნორმალიზაციისა და გარდაქმნის განგრძობისათვის.

საერთოდ, აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, ამ მოვლენებმა ცხადყო, რამდენად მომწიფდა იმის აუცილებლობა, რომ ცენტრშიც და ადგილებზეც შემოვაბრუნოთ ჩვენი მუშაობა ადამიანების ყოველდღიური საჭიროებების, მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. ამ სიტუაციიდან გამომდინარეობს მთავარი დასკვნა, რომელიც უნდა გამოვიტანოთ და რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენს შემდგომ საქმიანობაში. სრულიად ცხადია, რომ მაღაროელთა მთელი რიგი მოთხოვნების შესრულება დაკავშირებულია ცენტრალური ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებასთან, რეფორმის გზაზე ყოველგვარი ბიუროკრატიული დაბრკოლების აღმოფხვრასთან. ამაზე ლაპარაკობენ სხვა დარგების მუშათა კოლექტივებშიც. ვინ არ იცის: გაფიცვების მიზეზი უმეტესწილად ის არის, რომ ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო დღემდე ცდილობს ყველა საკითხი ზემოდან ან დარგობრივი მმართველობის შუალედურ სტრუქტურებში გადაწყვიტოს. ისე გამოდის, თითქოს სამინისტრო ყოველგვარ ღონეს ხმარობდეს იმისთვის, რომ შახტების კოლექტივები არ მიუშვას თავისი საქმეების მართვასთან, ანუ იმასთან, რასაც მათ ანიჭებს კანონი საწარმოს შესახებ. ასე რომ, ყველაფერი, რაც დაკავშირებულია რეფორმასთან, უმოკლეს ვადებში უნდა გაკეთდეს. ყველაფერი უნდა იღონონ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, რომელიც ამზადებს წინადადებებს, მთავრობამაც და სხვა უწყებებმაც. ჩვენს ეკონომიკურ რეფორმას უფრო თანამიმდევრული ხასიათი უნდა მიენიჭოს.

ადგილობრივმა ორგანოებმა უფრო მტკიცედ და გაბედულად უნდა იმოქმედონ ყველა ადგილობრივი საკითხის გადაწყვეტისათვის. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მეშახტეებმა ბევრი მოთხოვნა წაუყენეს ადგილობრივ ორგანოებსაც. მათ საკითხები დააყენეს რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე ამა თუ იმ დარგის ხელმძღვანელობის განმტკიცების შესახებ. საჭირო გადაწყვეტილებები მთელ რიგ შემთხვევებში უკვე მიღებულია, ამ საკითხების გამო უკვე გაიმართა პლენუმები და სესიები.

როცა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მომავალი საანგარიშო-საარჩევნო კამპანია განვიხილეთ, თქვა შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა, სწორი დასკვნა გამოვიტანეთ იმის შესახებ, რომ XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებების შესაბამისად უნდა მოეწყოს ანგარიშგება-არჩევნები იმ პარტორგანიზაციებში, სადაც გათვალისწინებულია წესდებით. ეს უნდა გაკეთდეს, რადგან ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, როცა საჭიროა რეგულარულ საფუძველზე მოვისმინოთ და განვიხილოთ პარტიული ორგანოების საქმიანობა, რათა კონტროლს ვუწევდეთ მათ მუშაობას, რომ ეს მუშაობა უფრო ეფექტიანი იყოს. ვფიქრობ, რომ სავსებით გამართლებულია ყველგან მოეწყოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიები, რომლებზეც მოისმენენ აღმასკომების ანგარიშებს, განიხილავენ და შეაფასებენ თითოეულ რეგიონში არსებულ სიტუაციას, გააანალიზებენ საქმის ვითარებას, რაც საბჭოების მთელ მუშაობას მძლავრ იმპულსს მიანიჭებს.

ვფიქრობ, ხაზგასმით აღნიშნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, სწორი იქნება, თუ უმაღლეს საბჭოში გამოვთქვამთ ასეთ რეკომენდაციას. არჩევნები ცხრა მთას იქით არ არის, მაგრამ დრო არ უნდა დავკარგოთ. ყველა საბჭომ დაუყოვნებლივ უნდა იმოქმედოს, რათა საკითხები, განსაკუთრებით ადგილობრივი ხასიათისა, გადაწყდეს.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი საკითხია წამოჭრილი, წინა პლანზე უნდა გამოვიტანოთ ისინი, რომლებიც ჩვენი ეკონომიკური რეფორმის გადაწყვეტას, წინსვლას შეუწყობს ხელს. ეს გარდაქმნის ყველაზე სერიოზული უბანია, აქ ყველაზე მეტი სიძნელე დაგროვდა, ერთ ადგილს ვტკეპნით. უმაღლესმა საბჭომ პირველ რიგში უნდა განიხილოს საკუთრების, მიწათსარგებლობის, რეგიონალური სამეურნეო ანგარიშის, ადგილობრივი ორგანოებისათვის შესაბამისი უფლებებისა და უფლებამოსილებების მინიჭების საკითხები და ა. შ. აი, ყველა ეს საკითხი უნდა გადაწყდეს პირველ რიგში, რათა შესაძლებელი იყოს ისინი განსახილველად წარვუდგინოთ სახალხო დეპუტატთა მორიგ, მეორე ყრილობას.

დეპუტატები შეუდგნენ დისკუსიას მიმდინარე მომენტის გამო.

სიტყვას იღებს დეპუტატი **ი. ვ. გოლიკი,** რომელიც ეს-ეს არის დაბრუნდა კუზბასიდან სხვა კემეროვოელ დეპუტატთა ჯგუფთან ერთად. ჩვენ მოვაწყვეთ ათობით შეხვედრა, თქვა მან, და შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიტუაცია მართლაც ნორმალური ხდება. კუზბასელი მაღაროელები კვლავ დაამტკიცებენ, რომ იციან კარგად მუშაობა.

მეშახტეებმა გვთხოვეს გადმოგცეთ, რომ ეს არ არის ამბოხება, უკმაყოფილების სპონტანური აფეთქება. ყველაფერი გაცილებით უფრო სერიოზულია. ჩვენ ხშირად გაგვიგონია ხელმძღვანელებისაგან, რა კარგი მუშათა კლასი გვყავსო. მაგრამ ეს კლასი გამოვიდა ქუჩებში და მოედნებზე, და მათ ვეღარ იცნეს იგი. სამწუხაროდ, პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელებისაგან მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს სათავეში ჩასდგომოდნენ ამ მოძრაობას, განემარტათ სიტუაცია, წარემართათ ხალხი საჭირო კალაპოტით.

ამ დღეებში ძალიან ბევრი რამ მოვისმინეთ საკითხის ასეთი გადაწყვეტის „მხარდასაჭერადაც" და „წინააღმდეგაც". ღრმად მწამს: გაფიცვა — ეს ამოძახილია, უიმედობის გოდებაა. როცა სხვა საშუალებები ვერ მიდის ხელმძღვანელებამდე ცენტრში და ადგილებზე. იმოწმებენ, ადგილობრივ ორგანოებს საკითხები არ დაუყენებიათო. ეს სწორი არ არის. ოლქის ხელმძღვანელები განგაშს ტეხდნენ სკკპ ყრილობაზეც, პარტიულ კონფერენციაზეც, და ამასწინანდელ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზეც, მაგრამ მათი ხმა არავინ იღო ყურად.

ზოგი ამბობს, თითქოს დეპუტატები ბრბოს ანკესს წამოეგებოდნენ. ჩაუფიქრდით, ვის უწოდეთ ბრბო — ადამიანებს, რომლებმაც რკინის, ჭეშმარიტად რევოლუციური წესრიგი უზრუნველყვეს ქუჩებში!

ეს არ არის საკითხის გადაწყვეტის მეთოდი, თქვა ორატორმა, ეს მხოლოდ უიმედობის გოდებაა. სახალხო დეპუტატებმა და საგაფიცვო კომიტეტმა მიიღეს გადაწყვეტილება სთხოვონ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაასაბუთოს ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მოწყობის საჭიროება არაუგვიანეს ამა წლის ნოემბრისა. ბევრი იყო ლაპარაკი იმაზე, რომ საბჭოებს უნდა გადავცეთ მთელი ძალაუფლება, მუშებმა კი დაამტკიცეს ძველი თეზისი: ძალაუფლებას არ იძლევიან, მას მოიპოვებენ. ისინი გამოვიდნენ და აიღეს ძალაუფლება საკუთარ ხელში. არც ერთი მათგანი არ გამოდის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მეშახტეები გამოდიან კონკრეტული ხელმძღვანელების წინააღმდეგ, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს საქმეს.

დეპუტატმა **ვ. პ. ლუშნიკოვმა** ილაპარაკა პეჩორის ქვანახშირის აუზის გაფიცულ მეშახტეებთან შეხვედრებზე. მართლაც, თქვა მან, საგაფიცვო კომიტეტებმა უზრუნველყვეს ნამდვილი წესრიგი, ორგანიზებულად მუშაობდნენ მთავრობის კომისიასთან ერთად. მთელი რიგი საკითხები უკვე გადაწყვეტილია, მაგრამ არის ისეთი საკითხებიც, რომლებიც არ შედის მთავრობის კომისიისა და ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციაში.

ორატორის აზრით, გაფიცვის დღეებში არცთუ კარგად იმუშავეს ტელევიზიამ და პრესამ, კერძოდ, როცა „ვორგაშორსკაია"-ს შახტმა ის იყო გაფიცვა დაიწყო, გამოაცხადეს, მან შეწყვიტაო გაფიცვა. შემდეგ გაჩნდა არასრულყოფილი ინფორმაცია „პრავდაში" და ამან გული ატკინა მეშახტეებს.

მეშახტეთა კოლექტივები, და არა მარტო ისინი, განაცხადა ორატორმა, გაგებით ეკიდებიან ქვეყანაში შექმნილ ვითარებას. შემდეგ მან წაიკითხა ქალაქების ინტისა და ვორკუტის საგაფიცვო კომიტეტების მიმართვა. მიმართვაში, კერძოდ, აღნიშნულია გაფიცვების ობიექტური, გარდაუქმნელი ხასიათი, მათი მიმართულობა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური და ბიუროკრატიული სისტემის წინააღმდეგ. ახლა უკვე აღარ შეიძლება წამოყენებული მოთხოვნების გადაწყვეტის გადადება. ამომრჩევლებმა, თქვა დეპუტატმა, გვთხოვეს, რომ ამისათვის განისაზღვროს კონკრეტული ვადები.

დეპუტატმა **ი. ა. დონჩაკმა,** რომელიც ყარაღანდიდან დაბრუნდა, ილაპარაკა აუზში შექმნილ ვითარებაზე. მან თქვა, რომ გაფიცვა იქ დამთავრდა. დღეისათვის მეშახტეებმა უკვე ამოიღეს 80 ათასი ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი. ზოგიერთი პრობლემა ადგილზე გადაიჭრა. იმ მოთხოვნების პაკეტი, რომლებიც ყარაღანდელმა და თანამგზავრი ქალაქების მეშახტეებმა დააყენეს მთავრობის წინაშე, ორატორმა გადასცა სესიის პრეზიდიუმს.

ორატორმა მოუწოდა ქვეყნის სხვა კატეგორიათა მშრომელებს, დაიცვან სიმშვიდე და წესრიგი, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ მეშახტეთა ბევრი პრობლემა ყველას ეხება.

დეპუტატ **ხ. ხ. ალექსეევის** აზრით, დღეს ქვეყანაში შექმნილი მრავალი სიძნელე ჩვენი რეფორმების არასრულყოფილებასთან, მათ სანახევრო ხასიათთან არის დაკავშირებული. მაგალითად, საწარმოს შესახებ კანონი შრომით კოლექტივებს არ ანიჭებს სრულ დამოუკიდებლობას, ხოლო კოოპერაციის შესახებ კანონი ჯერჯერობით არ ხსნის თავისუფალ ბაზარს.

ორატორმა გამოთქვა აზრი, რომ მთელი ძალები უნდა მოხმარდეს ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას, დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა კანონებზე საკუთრების, იჯარის, გადასახადების, რეგიონალური სამეურნეო ანგარიშის შესახებ.

დეპუტატმა წინადადება წამოაყენა აქ, კრემლში, საქვეყნოდ გამოაცხადონ მშრომელთა ეკონომიკური ძალაუფლება, ესე იგი სახალხო საწარმოებისა და საწარმოო კოოპერაციის იჯარის გზით წარმოების საშუალებები სრულ გამგებლობაში გადაეცეთ შრომით კოლექტივებს. მისი წინადადებაა აგრეთვე გამოაცხადონ, რომ სახელმწიფო შეკვეთები ყველა საწარმოში 70-80 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. დეპუტატის აზრით, ყველა ეს ღონისძიება მშრომელთა რეალური ძალაუფლების დასაწყისი იქნება, და შესაძლებელს გახდის გადასვლას საბაზრო ურთიერთობაზე.

ტრიბუნაზეა დეპუტატი **ტ. ა. პუპკევიჩი.** იგი შეეხო იმის მიზეზებს, რაც მოხდა ქვანახშირის მრეწველობაში. მე ამ დარგში ვმუშაობ ოცდაათამდე წელია, თქვა მან. მრავალი წლის განმავლობაში ვიბრძოდით კოლექტივების დამოუკიდებლობისათვის. 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ შვებით ამოვისუნთქეთ, გვეგონა, დადგა დიდი ხნის ნანატრი დრო. მაგრამ, ვაი, რომ, სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონი პრაქტიკულად ვერ ამოქმედდა. შრომითი კოლექტივების საბჭოებიც პრაქტიკულად ძალაუფლების გარეშე აღმოჩნდნენ. შენიშვნები აზრს უკარგავს მიღებულ დოკუმენტებს. აქედან გამომდინარეობს ასეთი აღშფოთებაც.

მაშასადამე, გარდაქმნის წლებში მიღებული კანონებიც კი შეიძლება არარად იქცეს და არ შესრულდეს. ეს ადამიანთა აღშფოთებას იწვევს, უკარგავს მათ რწმენას, ფიქციად აქცევს კარგ გადაწყვეტილებებს. ორატორმა შესთავაზა მუშათა კლასის წარმომადგენელ სახალხო დეპუტატებს შეიკრიბონ და განიხილონ აქტიური პრობლემები.

ტრიბუნაზეა დეპუტატი **ვ. გ. კუჩერენკო.** ოთხ დღე-ღამეს მომიხდა ყოფნა გაფიცულთა შორის, მთავრობის კომისიისა და საგაფიცვო კომიტეტების ერთობლივი ოქმის ჩამოყალიბების ცენტრში, თქვა მან. 47 პუნქტიდან, რომლებსაც დოკუმენტი შეიცავს, თითოეული სამართლიანია.

როგორ შეიძლებოდა სწორედ ქვანახშირის მრეწველობაში მომხდარიყო ასეთი ამბების განვითარება? ამ კითხვაზე პასუხის ძიებისას ორატორმა გააანალიზა დარგის ათწლეულობით გაჭიანურებული კრიზისული მდგომარეობის მიზეზები, რომელშიც დაგროვდა მთელი ეკონომიკური წინააღმდეგობანი.

დიახ, საჭიროა მტკიცე ღონისძიებანი შახტებისა და კოლექტივებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების, სხვა პრობლემების გადაჭრისათვის, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა. მაგრამ საჭიროა აგრეთვე დავაჩქაროთ შესაბამისი კანონის შემუშავება, რომელიც დაარეგლამენტებს დამოკიდებულებას ამგვარი სიტუაციებისადმი.

ორატორმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ იმ სიტუაციებშიც კი, როცა თითქოსდა ყველა საკითხი შეთანხმებულია, მშრომელები მოითხოვენ მათი გადაჭრის გარანტიებს უშუალოდ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისაგან. მაგრამ განა შეიძლება მოსკოვიდან მართო მუშათა კოლექტივები? უნდა გავაძლიეროთ ნდობა ადგილობრივი ორგანოებისადმი.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

მიმართვა საბჭოთა ხალხს

ბოლო დროის მოვლენები, გაფიცვები, ეროვნული კონფლიქტები, რომლებიც ხან ერთ, ხან მეორე რეგიონში იფეთქებს ხოლმე, ცხადყოფს, რომ გარდაქმნა ჩვენს ქვეყანაში მწვავე და ძნელ პერიოდს გადის. იქმნება სიტუაცია, რომელსაც რადიკალური ეკონომიკური რეფორმის, დემოკრატიზაციის, საჯაროობის პროცესის შემდგომი განვითარების მთელი ძალების მაქსიმალური გაერთიანება სჭირდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო იზიარებს და მხარს უჭერს მშრომელთა კანონიერ მოთხოვნებს, მისთვის გასაგებია მათი მისწრაფება უფრო მტკიცედ წარმართონ გარდაქმნა, დაამსხვრიონ ბიუროკრატიული დაბრკოლებები ყველა ადამიანის, ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრის შრომისა და ცხოვრების ახალი პირობების შექმნის გზაზე.

შეგნებული აქვს რა სრულად თავისი პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ავალებს საკავშირო მთავრობას უკვე ახლავე, დაუყოვნებლივ, მთელი ყურადღება მიაპყროს ყველაზე გადაუდებელი პრობლემების — სურსათის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის, ქალაქებისა და სოფლების საბინაო მშენებლობის, შრომის რეჟიმისა და ანაზღაურების, დასვენების პირობების პრობლემების გადაჭრას. მას ამაში დახმარებას გაუწევს დეპუტატთა წინადადებით ამას წინათ მიღებული გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ 10 მილიარდი მანეთით გაიზარდოს სახალხო მოხმარების საქონლისა და წამლების შესყიდვა. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები მხარს უჭერენ პარტიის, პროფკავშირების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივებს გამოყონ თავიანთი ბიუჯეტებიდან სახსრების ნაწილი, რათა უკვე 1989 წლის ოქტომბრიდან ამაღლდეს ხელმოკლე ადამიანების პენსიების მინიმალური დონე.

ჩვენ მოვუწოდებთ ხელისუფლების რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებს, ყველა შრომით კოლექტივს მტკიცედ ეძებონ საშუალებები და მატერიალური რესურსები ადამიანების საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო გარანტიას იძლევა, რომ ახლანდელი და საშემოდგომო სესიების პერიოდში მიიღებს კანონებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომითი კოლექტივების ნამდვილ დამოუკიდებლობას და თვითმმართველობას, საწარმოებისა და საკუთარი შრომის შედეგების განკარგვის უფლებას, გლეხებისათვის მიწის ნამდვილად გადაცემას, უზრუნველყოფენ რესპუბლიკების სუვერენიტეტსა და სამეურნეო ანგარიშს, შექმნიან ხელისუფლების ადგილობრივ და რესპუბლიკურ ორგანოებში ხალხის წარმომადგენლების დემოკრატიული არჩევის, თითოეული მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პირობებს. ასეთ კანონებს განეკუთვნება: კანონები საკუთრების შესახებ, მიწისა და მიწათსარგებლობის შესახებ, არენდისა და საიჯარო ურთიერთობის შესახებ, საწარმოების შესახებ, საკავშირო რესპუბლიკებში ეკონომიკური და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის საერთო საწყისების შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის საერთო საწყისების შესახებ, პროფკავშირების, შრომითი კონფლიქტების შესახებ, პრესისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ და სხვა.

უმაღლეს საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია შეძლებისდაგვარად მოაახლოოს ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნები და წარმართოს იგი ნამდვილად დემოკრატიულ საფუძველზე, განამტკიცოს ხელმძღვანელობა, მტკიცედ განაგრძოს არაკვალიფიციური და უუნარო მუშაკებისაგან სახელმწიფო აპარატის გაწმენდის, მართვის აპარატის შემცირებისა და დაუმსახურებელი პრივილეგიების ლიკვიდაციის გეზი.

ჩვენ ვიმოქმედებთ — ვიმოქმედებთ მტკიცედ და მიზანმიმართულად, მხოლოდ იმ პირობით, რომ მხარს დაგვიჭერთ, რომ მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია, ყველა საზოგადოებრივი მოძრაობა აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების განხორციელებაში, ყველა დონეზე მართვის დემოკრატიზაციაში, ჩვენი განვითარების მომწიფებული პრობლემების კონსტრუქციულ გადაჭრაში.

ცხადია, რომ ჩვენი საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის, ადამიანების მთელი ცხოვრების ღრმა გარდაქმნების განხორციელებას დრო, მუყაითი და პატიოსანი შრომა სჭირდება. უკვე უახლოეს პერიოდში განვიხილავთ კანონს, რომელიც მოაწესრიგებს შრომითი და სოციალური კონფლიქტების გადაწყვეტის წესს, განახორციელებს ბიუროკრატიზმისა და თვითნებობისაგან ადამიანის დამცველი გარანტიების განმტკიცების ღონისძიებებს. საგაფიცვო მოძრაობა, ეროვნებათაშორისი კონფლიქტები სხვადასხვა რეგიონში საქმეს ვერ შველის, ამას შეიძლება ჯაჭვური რეაქცია მოჰყვეს სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში, გაძლიერდეს კრიზისი ეკონომიკაში, გადაიდოს იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებისთვისაც ეს გაფიცვები ეწყობა, მკვეთრად დამუხრუჭდეს გარდაქმნა. იმ დროს, როცა სსრ კავშირის მთავრობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დავალებით ეძებს სახსრებს — მილიარდ-ნახევარ მანეთს ხელმოკლე ადამიანების პენსიების მოსამატებლად, გაფიცვით გამოწვეული ზარალი უკვე ასმილიონობით მანეთს აღწევს.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები ელიან თქვენი, თავიანთი ამომრჩევლების, თითოეული საბჭოთა ადამიანის გულისხმიერებასა და მხარდაჭერას, ორგანიზებულობასა და კეთილ საქმეებს ჩვენი ისტორიის ამ ძნელ, გარდამავალ მომენტში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო.

მურმანსკის მშვიდობის ფესტივალის მონაწილეებს

გულითადად მოგესალმებით თქვენ, მშვიდობისა და კეთილმეზობლობის ენთუზიასტებს. თქვენი შეხვედრა, ჩრდილოეთ ევროპის მშვიდობისათვის ლაშქრობა, რომელიც მთავრდება, ერთხელ კიდევ დაბეჯითებით მოწმობს სხვადასხვა ქვეყნის ადამიანთა მისწრაფებას გადააქციონ ევროპა ყველასათვის უსაფრთხო და მოსახერხებელ საერთო სახლად, სადაც თითოეულს შეეძლება იცხოვროს თავისებურად და კეთილი ურთიერთობა იქონიოს სხვებთან.

მშვიდობიანი ევროპის მშენებლობაში უწინარეს ყოვლისა საბოლოოდ ხელი უნდა ავიღოთ ძალისა და „ბირთვული შეკავების" პოლიტიკაზე — „ცივი ომის" ამ მემკვიდრეობაზე.

კონტინენტზე ნამდვილი მშვიდობიანობა შეუთავსებელია ბირთვულ იარაღთან. იგი გულისხმობს აგრეთვე ყველა სახეობის იარაღისა და შეიარაღებული ძალების ისეთ შემცირებას, რომელიც გამორიცხავს თვით ომის გაჩაღების შესაძლებლობას.

საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს წინადადებას უბირთვო ზონად ევროპის ჩრდილოეთის გადაქცევის შესახებ, იღვწის მისი ბუნებრივი სიმდიდრეების ერთობლივი ათვისებისათვის, გარემოს მდგომარეობისადმი კონტროლის ერთიანი სისტემისათვის. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ კანონის ძალა მიანიჭა ჩვენს საგარეო-პოლიტიკურ კურსს, რომელიც ახალ აზროვნებას ეფუძნება.

XXI საუკუნის ღირსეული ცივილიზებული ურთიერთობისაკენ ერთობლივი წინსვლისათვის საჭიროა სახელმწიფო მოღვაწეთა ძალისხმევა. მაგრამ ახლა არანაკლებ საჭიროა რიგითი მოქალაქეების ფართო დიალოგი, მათი აქტიური მოქმედება ყველა მიმართულებით — განიარაღების, ეკოლოგიის, კულტურის, ჰუმანიტარული, სამართლებრივი მიმართულებებით.

წარმატებას გისურვებთ თქვენ და თქვენს შესანიშნავ შეხვედრას.

მ. გორბაჩოვი.

ნ. ი. რიჟკოვი შეხვდა დონბასის მეშახტეთა წარმომადგენლებს

24 ივლისს კრემლში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი შეხვდა დონბასის საგაფიცვო კომიტეტების წარმომადგენლებს.

მეშახტეებმა ილაპარაკეს ამ ქვანახშირის აუზში შექმნილ მწვავე სიტუაციაზე და ჩამოაყალიბეს შრომითი კოლექტივების მოთხოვნები. განიხილეს მაღაროელებისათვის ყველაზე ამაღელვებელი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, უწინარეს ყოვლისა — შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების და საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესება, ხელფასის მომატება, მეშახტეებისათვის, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად, სრული ეკონომიკური და იურიდიული დამოუკიდებლობის მინიჭება, არა მარტო ზემდგომ სამეურნეო, არამედ ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებთან მათი ურთიერთობის მოწესრიგება. მათი მისამართით მეშახტეებმა გამოთქვეს საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში უთაურობასთან, საქმის გაჭიანურებასთან, ადამიანთა საჭიროებებისადმი უყურადღებო დამოკიდებულებასთან დაკავშირებული სერიოზული პრეტენზიები. ყოველივე ამით გამოწვეული მაღაროელთა მოთხოვნები ჩამოყალიბებულია ოქმში მეშახტეთა საგაფიცვო კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს კომისიას შორის შეთანხმებული ღონისძიებების შესახებ.

მაღაროელთა მიერ აღძრული პრობლემების განხილვის დროს ნ. ი. რიჟკოვმა აღნიშნა, რომ მეშახტეთა გაფიცვებთან დაკავშირებით შეიქმნა უკიდურესად დაძაბული ვითარება, რომელიც დიდ სიძნელეებს უქმნის სახალხო მეურნეობას. ამავე დროს მეშახტეთა მოთხოვნები მნიშვნელოვანწილად დასაბუთებულია, და დაგროვილი პრობლემები დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას.

შეხვედრის შედეგად შეიმუშავეს მოქმედების კონკრეტული პროგრამა, რომელიც ქვეყნის მთელ ქვანახშირის მრეწველობას ეხება. მთავრობის კომისიებსა და ქვეყნის ქვანახშირის აუზების მეშახტეთა შორის შეთანხმებათა ოქმები მიღებულია შესასრულებლად.

გაითვალისწინა რა, რომ შეხვედრაზე გამოინახა ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი, ნ. ი. რიჟკოვმა დონბასისა და სხვა ქვანახშირის აუზების მაღაროელებს მოუწოდა შეწყვიტონ გაფიცვა და დაუბრუნდნენ თავიანთ სამუშაო ადგილებს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ა. ვორონინი, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ა. გ. კორკინი და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები ა. ნ. ბოიკო და ა. ნ. საუნინი.

(საქინი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ბრძანებულება

ქალაქ თბილისის № 24 ვახუშტი ბაგრატიონის, მცხეთის რაიონის № 99 დილმის, ახალქალაქის რაიონის № 142 არაკვის, თეთრი წყაროს რაიონის № 160 მანგლისის, ბოლნისის რაიონის № 164 ქვემო ბოლნისის, ყვარლის რაიონის № 219 ყვარლის, ქალაქ წყალტუბოს ზონის № 273 მაღლაკის, ქალაქ სოხუმის № 359 კალინინის, ქობულეთის რაიონის № 411 ქობულეთის, ხელვაჩაურის რაიონის № 419 ახალშენისა და ცხინვალის რაიონის № 433 ცხინვალის სასოფლო საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 56-ე მუხლის შესაბამისად, დაინიშნოს საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები ქალაქ თბილისის № 24 ვახუშტი ბაგრატიონის, მცხეთის რაიონის № 99 დილმის, ახალქალაქის რაიონის № 142 არაკვის, თეთრი წყაროს რაიონის № 160 მანგლისის, ბოლნისის რაიონის № 164 ქვემო ბოლნისის, ყვარლის რაიონის № 219 ყვარლის, ქალაქ წყალტუბოს ზონის № 273 მაღლაკის, ქალაქ სოხუმის № 359 კალინინის, ქობულეთის რაიონის № 411 ქობულეთის, ხელვაჩაურის რაიონის № 419 ახალშენისა და ცხინვალის რაიონის № 433 ცხინვალის სასოფლო საარჩევნო ოლქებში კვირას, 1989 წლის 27 აგვისტოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **შ. ჭკარაძელია.**

თბილისი, 1989 წლის 25 ივლისი.

გლოვის დღე

25 ივლისს რესპუბლიკაში მოეწყო გლოვის დღე, რომელიც გამოაცხადეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ აფხაზეთში ტრაგიკული მოვლენების დროს დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად.

ქალაქებსა და სოფლებში დაშვებული იყო მგლოვიარე დროშები, გაიმართა სამგლოვიარო მსვლელობები და კრებები, შეწყდა ყველა სანახაობრივი და გასართობი ღონისძიება, სპორტული შეჯიბრება. მიტინგებზე დაგმეს ექსტრემისტთა მოქმედება, რომელიც ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივებას ისახავს მიზნად, აბრკოლებს საზოგადოებაში დემოკრატიზაციის პროცესების განვითარებას.

მიტინგებზე გაისმა მოწოდებები აწონ-დაწონილად, გონივრულად შეაფასონ მოვლენები, გააერთიანონ მთელი ჯანსაღი ძალები მშვიდობისა და სიმშვიდის აღსადგენად. (საქინფორმი)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ი. ლუკიანოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე

პატივცემულო ამხანაგო დეპუტატებო!

„სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის ამოქმედების წესის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1988 წლის 1 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაევალა უმაღლესი საბჭოს სესიებს შორის პერიოდში შეიტანოს საჭიროების შემთხვევაში ცვლილებანი სსრ კავშირის მოქმედ საკანონმდებლო აქტებში და შემდგომ წარმოადგინოს ბრძანებულებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

დადგენილი იყო აგრეთვე, რომ ბრძანებულებანი, რომლებიც გამოსცა პრეზიდიუმმა და არ განუხილავს სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლეს საბჭოს, შეტანილ უნდა იქნეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ არჩეული უმაღლესი საბჭოს განსახილველად.

ამ ხნის მანძილზე მიღებული ბრძანებულებანი ხელთა გაქვთ. დეპუტატთა სურვილის გათვალისწინებით ისინი დასკვნისათვის გადაეცა კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტს და მან განიხილა იგი სხვა კომიტეტებისა და კომისიების მონაწილეობით. გასულ კვირაში ეს მუშაობა დამთავრდა, და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შესაძლებლობა აქვს დასამტკიცებლად წარმოგიდგინოთ მის მიერ მიღებული ყველა სამართლებრივი აქტი.

სულ თქვენს განსახილველად შემოტანილია 18 ბრძანებულება. ისინი ეხება საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა დარგს და მიზნად ისახავს ეკონომიკური სისტემის დაწყებულ ცვლილებათა შემდგომ გაღრმავებას, სამართლებრივი სფეროს ჰუმანიზაციას, ქვეყანაში ორგანიზებულობისა და წესრიგის გაძლიერებას.

რა აქტებზეა ლაპარაკი?

უწინარეს ყოვლისა 1989 წლის 7 აპრილს მიღებულ ბრძანებულებაზე „სსრ კავშირში არენდისა და საარენდო ურთიერთობის შესახებ“. შეგახსენებთ, რომ ამ ბრძანებულების მიღებას წინ უძღოდა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მიერ მოწყობილი არენდის პრინციპებზე სოციალისტური და საწარმოო ურთიერთობის სრულყოფის საკითხთა ფართო განხილვა.

არენდის, როგორც სოციალისტური მეურნეობრიობის ერთ-ერთი პროგრესული ფორმის, მზარდი მნიშვნელობა განაპირობა რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელების მთელმა მსვლელობამ. ბრძანებულებაში არენდა მიჩნეულია სახელმწიფო საწარმოების, კოლმეურნეობების, მათი სტრუქტურული ქვეგანაყოფებისა და ცალკეული მოქალაქეების სამეურნეოანგარიშიანი საქმიანობის ორგანიზაციის თვისებრივად ახალ ფორმად.

სახელმწიფო საწარმოთა ქონების არენდით გადაცემისას წარმოიშობა საკუთრებითი ურთიერთობის განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსი: არენდით გადაცემული ქონება სახელმწიფოს საკუთრებაა. მაგრამ მოარენდეების მიერ წარმოებული პროდუქცია მათვე ეკუთვნით. საერთო-სახალხო საკუთრება აღარ არის არავისი.

საარენდო საწარმოებსა და მოარენდეებს შორის ურთიერთობას საფუძვლად უძევს ხელშეკრულება. ხელშეკრულება ფორმდება, როგორც წესი, ხანგრძლივი პერიოდისათვის: 5 წლიდან 50 და მეტ წლამდე. გათვალისწინებულია აგრეთვე არენდის ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების მოარენდის ოჯახის ერთ-ერთი წევრისათვის გადაცემის შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, როცა იგი მიაღწევს საპენსიო ასაკს ან დაკარგავს შრომისუნარიანობას.

სოფლადაც, მრეწველობაშიც, მშენებლობაშიც არენდის გამოყენება, როგორც არსებულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, დიდ ეფექტს იძლევა. იზრდება შრომის ნაყოფიერება, უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი, მცირდება რესურსების დანახარჯები. ამ ეფექტს იმიტომ ვაღწევთ, რომ არენდა, როგორც სოციალისტური ურთიერთობის ფორმა, ყველაზე სრულად შეესაბამება მთლიანად საზოგადოების, შრომითი კოლექტივებისა და ცალკეული ადამიანის ინტერესების ჰარმონიული შეხამების მოთხოვნებს.

ბრძანებულებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოფლის მეურნეობაში საარენდო ურთიერთობის სტაბილურობის უზრუნველყოფას. ნებადართულია გლეხთა მეურნეობების წარმოება მიწისა და ქონების არენდით. ამასთან ხაზგასმულია, რომ ასეთი მეურნეობების წევრები თავიანთი საწარმოო საქმიანობის დროს კოოპერაციულ კავშირურთიერთობას ამყარებენ კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, იქმნება გასაღება-მომარაგების, გადამმუშავებელი, სარემონტო და სხვა კოოპერატივები. ამრიგად, გლეხთა მეურნეობანი ორგანულად ებმებიან სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების სისტემაში.

რა თქმა უნდა, ბრძანებულებამ ვერ გადაწყვიტა, და ვერც გადაწყვეტდა არენდის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხთა მთელ მრავალფეროვნებას. და ეს, პირდაპირ ვიტყვით, ყველა სამართლებრივი აქტის საერთო ხვედრია, რომლებიც მიღებულია ისეთი გარდამავალი პერიოდის სწრაფად ცვალებად პირობებში, როგორიც გარდაქმნაა. ამიტომ უკვე ახლა მოდის წინადადებანი, რომ საჭიროა დავიწყოთ ამ ბრძანებულების რეკონსტრუქცია, შევავსოთ იგი, დავაზუსტოთ და შევცვალოთ. არსებითად ეს სწორია. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბრძანებულება თავდაპირველად იგეგმებოდა არენდის შესახებ უფრო ფართო კანონის მომზადების ფარგლებში, რათა პირველი ბიძგი მიგვეცა სოციალისტური მეურნეობრიობის ორგანიზაციის ამ პროგრამული ფორმის განვითარებისათვის, მიგვენიჭებინა მისთვის, როგორც იტყვიან, მოქალაქეობრიობის უფლება. ეს არის მისი დანიშნულება. რა თქმა უნდა, აქ ყველაფერი ბოლომდე როდია დახვეწილი. მაგრამ პრაქტიკული გამოცდილების დაგროვების კვალობაზე ბრძანებულებას გამოვიყენებთ საფუძვლად „სსრ კავშირში არენდისა და საარენდო ურთიერთობის შესახებ“ კანონის პროექტის შემუშავებისას. ასეთი მუშაობა უკვე წარმოებს.

მაგრამ არენდის გამოყენებასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგება, გარკვეული გამოცდილების შეძენამდე, ეტყობა, მაინც არ უნდა ვიჩქაროთ. აქ უპრიანია შეგახსენოთ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის აზრი, რომელიც გამოთქვა 1922 წელს სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენების პირობებისა და მიწის არენდის საკითხის განხილვისას, — „არავითარ შემთხვევაში არ დავუშვათ ის, რაც ყველაზე უფრო საშიში და მავნე იქნებოდა ამჟამად და რამაც ადვილად შეიძლება დააბნიოს ადგილობრივი ხელისუფალნი, სახელდობრ: ზედმეტი და წარუმატებელი, ნაჩქარევი, გამოცდილებით შეუმოწმებელი რეგლამენტაცია“.

იმის გათვალისწინებით, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველი ბრძანებულება მიღებული იყო სულ რამდენიმე თვის წინათ, დღეს, როგორც ჩანს, მიზანშეუწონელი იქნებოდა შეგვეტანა მასში რაიმე ცალკეული დაზუსტებანი ან გასწორებანი. უნდა დავაგროვოთ საჭირო პრაქტიკული გამოცდილება, და უკვე შემდეგ გადავჭრათ საკითხი მთელი მისი მოცულობით. თუმცა არენდის შესახებ კანონის პროექტის მომზადება, რა თქმა უნდა, საჭიროა დაჩქარდეს. ვადა (1990 წლის 1 ივლისამდე), რომელიც დაგეგმილი იყო წინათ, უნდა შევამციროთ — ასეთია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დავალება, და ჩვენ მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება.

კოოპერატივების საქმიანობის მოწესრიგებისათვის, სახელმწიფოსთან მათი ურთიერთობის უფრო ზუსტი განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შემოტანილ ბრძანებულებას „კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის შესახებ“.

1989 წლის 23 თებერვალს მიღებულ ამ ბრძანებულებაში ხორცი შეესხა მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოების თანამიმდევრულ გეზს. საწარმოო და მოსახლეობის მომსახურე კოოპერატივებთან მისადაგებით მათ მიეცათ უფლება დააწესონ საგადასახადო განაკვეთების ოდენობა.

რესპუბლიკების უმრავლესობაში უკვე მიღებულია შესაბამისი აქტები, რომლებსაც არაერთმნიშვნელოვანი რეაქცია მოჰყვა. კერძოდ, ამას წინათ გამართულ გაერთიანებული კოოპერატივების ყრილობაზე, როგორც, ალბათ, მოგეხსენებათ, დელეგატებმა მიღებულ დოკუმენტებში სსრ კავშირის კონსტიტუციის მიმართ რაღაც წინააღმდეგობაც კი დაინახეს. სსრ კავშირის ზოგიერთი სახალხო დეპუტატი გამოთქვამს შიშს, რომ ბრძანებულებანი, რომლებსაც ვიღებთ, ზიანს მიაყენებენ მთლიანად კოოპერაციულ მოძრაობას. რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე?

უწინარეს ყოვლისა, 1989 წლის 23 თებერვლის ბრძანებულება სსრ კავშირის ძირითად კანონს არ ეწინააღმდეგება. სსრ კავშირის კონსტიტუცია (73-ე მუხლი, მე-6 პუნქტი) სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესაქმნელად გადასახადებისა და შემოსავლის დადგენას სსრ კავშირის კომპეტენციას მიაკუთვნებს. და ბრძანებულება ამ საკითხებს წყვეტს. მასში დადგენილია გადასახადის სახეობა და ის, რაც ამ გადასახადით იბეგრება. რესპუბლიკებს კი მიეცათ უფლება ადგილობრივი თავისებურებებისა და ვითარების შესაბამისად, განსაზღვრონ მხოლოდ საკავშირო აქტით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთების ოდენობა. ამიტომ აქ წინააღმდეგობა არ არის.

ზოგჯერ გამოთქვამენ აზრს, რომ 1989 წლის 23 თებერვლის ბრძანებულება ეწინააღმდეგება კოოპერაციის შესახებ კანონს, რომელიც შეიცავს წესს, რომლის თანახმად კოოპერატივების დაბეგვრა წარმოებს მყარი განაკვეთებით, რომლებიც სულ ცოტა ხუთი წლით წესდება. მაგრამ, როგორც ცნობილია, ჯერჯერობით ჩვენ არ გვქონია არც ბრძანებულება, არც კანონი, რომლებიც ამ მყარ განაკვეთებს დაადგენდნენ. დღემდე კოოპერატივების დაბეგვრა ხორციელდებოდა მთავრობის მიერ დაწესებული შეღავათიანი ნორმებით, რომლებსაც დროებითი ხასიათი აქვს. ამასთან ნავარაუდევი იყო, რომ კოოპერატივებში ძირითადად იმუშავებდნენ საზოგადოებრივ წარმოებაში დაუსაქმებელი მოქალაქენი (პენსიონერები, დიასახლისები, სტუდენტები), აგრეთვე საწარმოთა მუშაკები ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს. მხედველობაში გვქონდა აგრეთვე, რომ კოოპერატივები სახსრების მნიშვნელოვან ნაწილს მოახმარდნენ თავიანთი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება-განმტკიცებას.

მაგრამ პრაქტიკამ ცხადყო, რომ ამ შეღავათიან პირობებს რომ იყენებენ, კოოპერატივები მიღებული სახსრების მეტ ნაწილს შრომის ანაზღაურებას ახმარენ. ხელფასის ოდენობა კოოპერატივებში ხშირად გაცილებით მეტია, ვიდრე ანალოგიურ სახელმწიფო საწარმოებში, როცა თანაბარი, ხშირად კი ნაკლები შრომის ნაყოფიერებაა. ბუნებრივია, რომ ეს იწვევს მშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის მკაცრ კრიტიკას, რასაც მოწმობს ცენტრალურ ორგანოებში მოსული მრავალი წერილი. ამასაც არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს.

ახლა პირველად ვწყვეტთ ამ საკითხს საკანონმდებლო დონეზე, ვწყვეტთ სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, სადაც, როგორც ცნობილია, უზრუნველყოფილია დაახლოებით ერთნაირი მიდგომა საგადასახადო ვალდებულებებისადმი კოოპერატივებისა და სახელმწიფო საწარმოებისათვის. მაგალითად, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში კოოპერატივების შემოსავლის გადასახადები ძირითადად 40—60 პროცენტია. მთელ რიგ სოციალისტურ ქვეყნებში დადგენილია აგრეთვე საწარმოო ფონდების, შრომითი რესურსების და სხვათა საზღაური.

ცალკე უნდა ითქვას, თუ რას აძლევს ბრძანებულება ჩვენს ქვეყანაში კოოპერაციის განვითარებას. როგორც მოგეხსენებათ, მასში განსაკუთრებით არის ხაზგასმული, რომ საგადასახადო განაკვეთების ოდენობას უნდა განსაზღვრავდეს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა კოოპერაციული მოძრაობის ყოველმხრივი განვითარების საჭიროების, ადგილობრივი თავისებურებებისა და სახელმწიფო საწარმოებთან კოოპერატივების ეკონომიკური შეჯიბრებითობის პირობების შექმნის გათვალისწინებით. ეს საკითხები უნდა წყდებოდეს არა თვითინებურად, არამედ კოოპერატივების საქმიანობის ხასიათის, მათი შემოსავლიანობის დონის, მიღებულ შემოსავალში კოოპერატორთა შრომის წილის, მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის შესაბამისი კოოპერატივების მნიშვნელობის გათვალისწინებით.

მივმართოთ პრაქტიკას. იგი მოწმობს, რომ რესპუბლიკებში დაბეგვრის განაკვეთების ფართო დიაპაზონია. რუსეთის სფს რესპუბლიკაში, მაგალითად, ისინი მერყეობს იმ კოოპერატივებში მიღებული შემოსავლის თანხის 3 პროცენტიდან, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ავადმყოფთა, ბავშვთა, ხანდაზმულთა მომსახურებასთან, და 60 პროცენტამდე საშუამავლო, სავაჭრო-შემსყიდველ და სხვა ამგვარ კოოპერატივებში.

უფრო მეტიც, აღნიშნული ფაქტორების მიხედვით კონკრეტულ კოოპერატივებს საგადასახადო განაკვეთები გარკვეული ვადით შეიძლება შეუმცირდეთ. რეგიონისათვის განსაკუთრებით საჭირო კოოპერატივები კი შეიძლება საერთოდ განთავისუფლდნენ გადასახადისაგან.

უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე, რომ რესპუბლიკებში კოოპერატივების დაბეგვრის პრაქტიკა მხოლოდ ახლა ყალიბდება. ის განაკვეთები, რომლებიც დღეს ცხარედ იხილება, ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების სესიებზე. ეჭვი არ არის, რომ დეპუტატები სესიებზე ამ განაკვეთებს უაღრესად გულმოდგინედ გააანალიზებენ და საკითხს მთელი პასუხისმგებლობით გადაწყვეტენ.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ, როგორც ცნობილია, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს დაავალა შეიმუშაოს ერთიანი კანონი სოციალისტური საწარმოს შესახებ, აგრეთვე დააჩქაროს ერთიანი საგადასახადო სისტემის შესახებ კანონის მომზადება. ამ დავალების რეალიზაციას ვიწყებთ უკვე ახლანდელ სესიაზე. ამ მუშაობის დროს, უეჭველია, გათვალისწინებული იქნება ადგილებზე დამკვიდრებული პრაქტიკის მთელი მრავალფეროვნება, და ყველა საჭირო ეკონომიკური და სამართლებრივი პირობები არა მარტო სახელმწიფო, არამედ კოოპერაციული საწარმოების განვითარებისთვისაც.

1988 წლის 14 მარტის ბრძანებულება „პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის და მომსახურების გაწევის კოოპერატივებში მომუშავე მოქალაქეთა დაბეგვრის, აგრეთვე ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისათვის პატენტების გაცემის წესის შეცვლის შესახებ“ არ განხილულა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიაზე, რადგან იმხანად მიმდინარეობდა მთლიანად კოოპერატივების პროგრესული დაბეგვრის წესისა და პირობების შემუშავება. ამჟამად კანონის პროექტი ამ საკითხზე, როგორც მოგეხსენებათ, გამოტანილია საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

ამიტომ დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ამ ბრძანებულებას გთავაზობთ მხოლოდ ნაწილობრივ (1-ლი მუხლის და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის გარეშე), ესე იგი მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც ეხება ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის პატენტების გაცემას. საქმე ეხება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისათვის იმ უფლების მინიჭებას, რომ თვითონ განსაზღვრავდნენ პატენტების გაცემისა და პატენტის საფასურის დადგენის წესს. ამასთან მხედველობაშია მიღებული, რომ კონკრეტული რეგიონალური თავისებურებების გათვალისწინებით ეს უფლება შეიძლება რესპუბლიკების მთავრობებმა გადასცენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს.

მწვავე საბინაო პრობლემით იყო ნაკარნახევი „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების მე-4 მუხლის დამატების შესახებ“ 1988 წლის 14 დეკემბრის ბრძანებულების მიღება. ინდივიდუალური საბინაო ფონდის ობიექტების რიცხვს, საცხოვრებელი სახლების დამატებით, ამ ბრძანებულებით ახლა დაემატა ბინებიც, რომელთა შეძენა ახლა აგრეთვე შეუძლიათ მოქალაქეებს პირად საკუთრებაში.

კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ კუთვნილი საბინაო ფონდის გამოყენების საქმეში უფლებათა გაფართოების მიზნით მიღებული იყო 1989 წლის 10 მაისის ბრძანებულება. მის თანახმად კოლმეურნეობათა წევრების საერთო კრებებს ან რწმუნებულთა კრებებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესაბამის ორგანოებს ახლა უფლება აქვთ დააწესონ შეღავათიანი საფუძვლები სპეციალისტებისა და თავიანთი სხვა მუშაკების საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის რიგგარეშე წესით, თანაც მოცემულ დასახლებულ პუნქტში მუდმივი ბინადრობის მიუხედავად. ცხადია, რომ ბრძანებულების ასეთი ფორმა ხელს შეუწყობს კადრების დამკვიდრებას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, აგრეთვე არსებული საბინაო ფონდის უფრო ეფექტიან გამოყენებას.

გზებზე წესრიგისა და მილიციის მუშაკთა საქმიანობის შესახებ ჩვენი კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით მიღებულია 1989 წლის 6 თებერვლის ბრძანებულება. მან ცვლილებანი და დამატებანი შეიტანა საკანონმდებლო აქტებში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ. მკვეთრად შევიწროვდა ასეთი დარღვევების ნუსხა, მათი რიცხვიდან გამორიცხულია ნაკლებმნიშვნელოვანი გადაცდომების დიდი ჯგუფი. მაგრამ რეალური საფრთხის გათვალისწინებით, რომელიც იქმნება გზებზე მოძრაობის, ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებისათვის, მნიშვნელოვნად გაძლიერდა პასუხისმგებლობა კანონით გათვალისწინებული დარღვევებისათვის. შესაბამისად იზრდება ჯარიმების ოდენობაც. უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დრომდე ქვეყანაში ყოველწლიურად ადმინისტრაციული წესით წესების დარღვევისათვის ისჯებოდა 35 მილიონზე მეტი კაცი. თანაც მათგან ნახევარზე მეტი — ნაკლებმნიშვნელოვანი დარღვევებისათვის, რომლებიც არსებითად გავლენას არ ახდენს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაზე. ბრძანებულებით დადგენილი ღონისძიებანი ხელს შეუწყობს იმას, რომ სახელმწიფო ავტოინსპექციის სამსახურებმა მთელი ძალისხმევა მოახმარონ სწორედ იმ დარღვევების გამოვლენასა და აღკვეთას, რომლებიც ყველაზე უფრო ხშირად იწვევს ავარიებს. საკმარისია ითქვას, რომ მარტო 1988 წლის განმავლობაში ქვეყნის გზებზე დაიღუპა 47 ათასზე მეტი კაცი, აქედან მეტი ნაწილი — მძღოლთა მიზეზით.

როგორც მოგეხსენებათ, 1988 წლის 21 მარტს მიღებულია ბრძანებულება სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელების დაბეგვრის საკითხებზე, რომელიც დაამტკიცა სსრ კავშირის წინა მოწვევის უმაღლესმა საბჭომ. მისი მთავარი მიზანია სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების ფულადი რესურსების მობილიზაცია საავტომობილო გზების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის, უწინარეს ყოვლისა არაშავმიწანიადაგიან ზოლში ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას, მის გადაჭრას კი საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს. და თუმცა გასაგებია, რომ შემოღებული ღონისძიება არ არის პოპულარული, უმისოდ, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ფონს ვერ გავიდოდით.

რაც შეეხება 1989 წლის 28 მარტის ბრძანებულებას, რომელიც დღეს წარმოდგენილია დასამტკიცებლად, მას 1988 წლის ბრძანებულებაში შეაქვს ზოგიერთი ცვლილებანი, კერძოდ, დაბეგვრის დადგენილი დამატებითი შეღავათები.

ახლა წინათ გადასახადისაგან განთავისუფლებულ დიდი სამამულო ომის ინვალიდებთან და მათთან გათანაბრებულ პირებთან ერთად გადასახადს არ გადაიხდევინებენ ინვალიდებსაც, რომლებსაც ჰყავთ ხელის მართვის ავტომობილები და მოტოეტლები. ამ გადასახადისაგან თავისუფლდებიან სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებანიც.

გარდა ამისა, ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს მინიჭებული აქვთ უფლება ცალკეულ მოქალაქეთა მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით გაათავისუფლონ ისინი გადასახადის გადახდისაგან ან შეუმცირონ მისი ოდენობა.

თქვენს განსახილველად შემოტანილი რამდენიმე ბრძანებულება პირდაპირი გამოხმაურებაა ცენტრალურ ორგანოებში შემოსულ საბჭოთა ადამიანების მრავალრიცხოვან მიმართვებზე, რომლებიც მოითხოვენ მტკიცე სამართლებრივი წესრიგის დამყარებას საზოგადოებაში, დისციპლინის განმტკიცებას, იმას, რომ ბოლო მოეღოს განუკითხაობისა და უკანონობის გამოვლინებებს. ასეთი მოთხოვნების რეალიზაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებში მჭიდროდ უკავშირდება სამართლებრივი რეფორმის განხორციელების საერთო პროცესს დესტრუქციული, ანტისაზოგადოებრივი მოქმედებისაგან, ანტისაბჭოურობის, ნაციონალიზმისა და ექსტრემიზმის საშიში გამოვლინებებისაგან დემოკრატიის დაცვის მექანიზმის შექმნას.

ასეთი სახის ღონისძიებებს უნდა მივაკუთვნოთ უწინარეს ყოვლისა 1989 წლის 8 აპრილის ბრძანებულება, რომელსაც ცვლილებანი და დამატებანი შეაქვს „სახელმწიფო დანაშაულებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის ზოგიერთ სხვა საკანონმდებლო აქტში.

ამ ბრძანებულების ამოცანაა— იგი კი, როგორც ცნობილია, საზოგადოებაში ერთმნიშვნელოვნად არ აღიქვეს — შექმნას სამართლებრივი საფუძვლები იმათი გაფრთხილებისათვის, საჭიროების შემთხვევაში კი პასუხისგებაში მისაცემისათვის, ვინც ინიღბება დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ლოზუნგებით და სურს კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები გამოიყენოს ჩვენი საზოგადოების საფუძვლების ძირის გამოთხრის, ეროვნებათშორისი ურთიერთობის შერყევის მიზნით. ამავე დროს ბრძანებულება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის დემოკრატიზაციის დარგში. მან შეავიწროვა სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სფერო და ამოიღო იქიდან ცნება „ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა“, რომელიც პრაქტიკულად საკმაოდ ფართო განმარტების შესაძლებლობას იძლეოდა. საქმე ეხება იმას, რომ ახლა შეიძლება პასუხისგებაში მივცეთ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ჩვენ წინაშეა მოქმედება, რომელსაც სჩადიან წინასწარგანზრახულად და მიმართულია საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ.

ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბრძანებულება მზადდებოდა არსებული მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით. იგი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ხელშეკრულებების სულისკვეთებასაც, ჰელსინკისა და ვენის დოკუმენტების ხელმომწერი სახელმწიფოების საერთო პოზიციას. ყოველ დემოკრატიას შეუძლია იარსებოს მხოლოდ კანონის ფარგლებში, და მისი დარღვევა, სახელმწიფო წყობილების საფუძვლების ხელყოფა დანაშაულია. ასეა მიღებული პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში.

დავსძენ, რომ დასავლეთის მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობის უფრო მკაცრ ღონისძიებებს კანონიერი მთავრობისა ან კონსტიტუციური წყობილების ხელყოფის შემთხვევაში. საფრანგეთში, მაგალითად, კონსტიტუციური წყობილების დამხობისა თუ შეცვლის ხელყოფა და ასეთი სახის სხვა მოქმედება ისჯება სამუდამო პატიმრობით. შვეციაში გათვალისწინებულია სასჯელი, სამუდამო პატიმრობაც კი, იმ მოქმედებისათვის, რომლის მიზანია მმართველობის არსებული ფორმის დამხობა.

ამავე დროს უნდა ვაღიაროთ, რომ ბრძანებულების ცალკეული ფორმულირებანი ბოლომდე არ არის დამუშავებული. მისმა მთელმა რიგმა დებულებებმა მწვავე პოლემიკა გამოიწვია. განსაკუთრებით ეხებოდა ეს მე-11 პრიმ მუხლს, თუმცა სასამართლოებში არც ყოფილა გადაცემული არც ერთი საქმე ამ მუხლის დარღვევის გამო. ამ ვითარებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არ მოუთხოვია დაჟინებით ამ მუხლის შენარჩუნება და, როგორც მოგეხსენებათ, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება მისი გაუქმების შესახებ.

დისკუსიები ნაკლებად შეეხო ბრძანებულების მე-7 მუხლს. მაგრამ ამ მუხლის გამოც გამოითქვა საკმაოდ სერიოზული მოსაზრებანი, მათ შორის სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მხრივაც. კერძოდ, გამოითქვა ეჭვი, მიზანშეწონილია თუ არა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესება გავრცელების მიზნით იმ მასალების დამზადებისათვის, რომლებიც შეიცავს მოწოდებებს საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების დამხობის ან შეცვლისათვის, ესე იგი ამ დანაშაულის მომზადებისათვის, და არა მისი ფაქტობრივი ჩადენისათვის პასუხისმგებლობის დაწესება. იყო წინადადება, განსაკუთრებით გაგვესვა ხაზი დასახელებულ მუხლში, რომ საქმე ეხება საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების დამხობისა ან ძალადური შეცვლისათვის საჯარო მოწოდებებს. შეტანილია ზოგიერთი სხვა წინადადება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გულმოდგინედ შეისწავლა ყველა ეს თვალსაზრისი, მათი არგუმენტაცია, და მიზანშეწონილად ცნო შეეცვალა ბრძანებულების მე-7 მუხლის რედაქცია. ამ ახალი რედაქციით ტექსტი თქვენ გაქვთ. ფაქტობრივად ბრძანებულება ითვალისწინებს დასჯას იმისათვის, რასაც ვერ შეურიგდება ვერც ერთი საზოგადოება, რომელსაც დემოკრატიულობის სტატუსის პრეტენზია აქვს. საქმე ეხება მოწოდებებს ძალმომრეობისათვის, კანონების შესრულებისადმი აქტიურ წინააღმდეგობას. ვფიქრობთ, რომ ამ მუხლის ახალი რედაქცია გამორიცხავს მის ყოველგვარ განვრცობით განმარტებას.

30—40-იან წლებში და 50-იან წლების დამდეგს უკანონოდ რეპრესირებულ მოქალაქეთა რეაბილიტაციისათვის მუშაობის გაძლიერებას ხელს შეუწყობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 16 იანვრის ბრძანებულება, რომლითაც აღნიშნულია ეგრეთ წოდებული „სამეულებისა“ და „საგანგებო თათბირების“ მიერ გამოტანილი სასამართლოგარეშე გადაწყვეტილებანი. ამ ორგანოების მიერ ყველა მსჯავრდადებული რეაბილიტირებული იქნება. ეს წესი არ ვრცელდება მხოლოდ სამშობლოს მოღალატეებზე, დამსჯელებზე, ნაცისტურ დამნაშავეებზე, ბანდფორმირებათა მონაწილეებსა და მათს დამქაშებზე, მუშაკებზე, რომლებიც ეწეოდნენ სისხლის სამართლის საქმეთა ფალსიფიკაციას, აგრეთვე პირებზე, რომლებმაც ჩაიდინეს განზრახ მკვლელობა და სხვა სისხლისსამართლებრივი დანაშაულებანი.

უნდა მოვახსენო სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, რომ 1989 წლის 1 ივლისისათვის ჩვენში რეაბილიტირებულია 260 ათასზე მეტი კაცი, მათ შორის ამ ბრძანებულების შესაბამისად — 235 ათასი კაცი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად ამ ბრძანებულების შემოტანასთან დაკავშირებით შემოვიდა ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წერილი, რომელიც შეიცავს წინადადებას ბრძანებულებას დაემატოს დებულება იმის თაობაზე, რომ „უკანონო სპეცდასახლების ადგილებიდან გაქცევა არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაული“. ასეთი დამატება, ჩვენი აზრით, სწორია.

ამ საკითხის გადაწყვეტა შეიძლება იმ გზით, თუ ბრძანებულების 1-ლი მუხლის პირველ აბზაცში სიტყვების „აღნიშნული ორგანოების“ შემდეგ შევიტანთ ასეთი შინაარსის დამატებას: „იმ პირთა ჩათვლით, რომლებიც მსჯავრდადებული არიან შემდეგ უკანონო სპეცდასახლების ადგილებიდან გაქცევისათვის“.

1989 წლის 16 მაისის ბრძანებულებით შეტანილია ცვლილებები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლებში, რომლებიც შეეხება თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის ყოველგვარი დაქვითვის შემდეგ ხელფასის წილის შენარჩუნების წესებს. ეს კეთდება შრომისადმი მსჯავრდადებულთა კეთილსინდისიერი დამოკიდებულების სტიმულირებისათვის.

იმისათვის, რომ მშრომელები ფართოდ მონაწილეობდნენ მომსახურების სფეროში სხვადასხვა დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 18 მაისის ბრძანებულებით მტკიცდება დებულება პროფკავშირების მუშათა კონტროლის შესახებ. ბრძანებულება ადგენს მუშათა კონტროლის სამართლებრივ სტატუსს, მისი ინსპექციებისა და კომისიების, კონტროლიორი მუშების უფლებებსა და მოვალეობებს. მისი ამოცანა ის არის, რომ პროფკავშირების მუშათა კონტროლმა წამყვანი ადგილი დაიკავოს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობისადმი კონტროლის სისტემაში, რათა იგი გახდეს გავლენიანი ძალა განაწილების სფეროში არსებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, სოციალური სამართლიანობის პრინციპების პრაქტიკულ განხორციელებაში.

ფაქტები მოწმობს, რომ ბრძანებულებაზე დაყრდნობით, პროფკავშირების კონტროლიორებს ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ. მაგალითად, აქტიუბინსკის ოლქში მუშა კონტროლიორებს მიმაგრებული აქვთ პრაქტიკულად ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების ყველა მოქმედი საწარმო, ასეთი საწარმო კი 2,5 ათასზე მეტია. მნიშვნელოვნად არის გააქტიურებული ეს მუშაობა ოდესაში, კიევში, ლიპეცკში, იაროსლავლში, ხაბაროვსკსა და სხვა ქალაქებში. შემოწმებებმა გამოავლინა საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის, დეფიციტური საქონლის გადამალვის, მათი განიავების მრავალრიცხოვანი ფაქტები და ა. შ.

თქვენს განსახილველად გამოტანილი მთელი რიგი ბრძანებულებანი, ამხანაგო დეპუტატებო, გამომდინარეობს იმ დიდი ცვლილებებიდან, რომლებიც მოხდა სხვა ქვეყნებთან სსრ კავშირის ურთიერთობაში, საერთაშორისო ურთიერთობაში ახალი აზროვნების პრინციპების განხორციელებიდან. საერთაშორისო კლიმატის დამაიმედებელი დათბობა ბევრად არის დაკავშირებული საბჭოთა სახელმწიფოს მიერ სამხედრო სფეროში თანაბარი უშიშროების პოლიტიკის განხორციელებასთან. ამან საშუალება მოგვცა მთელი რიგი ნაბიჯები გადაგვედგა ჩვენი სამხედრო ხარჯების შემცირებისა და თავდაცვითი მრეწველობის კონვერსიის განხორციელების გზაზე. ამასთან დაკავშირებით 1989 წლის 21 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „1989-1990 წლების განმავლობაში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის ხარჯების შემცირების შესახებ“. ბრძანებულებით განსაზღვრულია, რომ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიცხობრივი შემადგენლობა შემცირდება 500 ათასით ჩვეულებრივი შეიარაღების მოცულობისა და ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტით თავდაცვითი საჭიროებებისათვის გათვალისწინებული საბჭოთა კავშირის ხარჯების არსებითი შემცირების პირობებში, რაც საშუალებას მოგვცემს გამოთავისუფლებული სახსრები მოვახმაროთ სახალხო მეურნეობის განვითარების დაჩქარებასა და საბჭოთა ადამიანების საარსებო მოთხოვნილებების უზრუნველყოფას.

იმ მიზნით, რომ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემადგენლობა სავსებით შეესაბამებოდეს სსრ კავშირის კონსტიტუციით დადგენილ ამოცანებსა და ფუნქციებს, რომელთა შესრულებისათვის შეიქმნა ისინი, ესე იგი ხალხის მშვიდობიანი შრომის, საბჭოთა სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამა წლის 21 მარტს მიიღო ბრძანებულება „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემადგენლობიდან სასაზღვრო, შინაგანი და სარკინიგზო ჯარების გამოყვანის შესახებ“.

„საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სსრ კავშირის კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“ 1989 წლის 10 აპრილის ბრძანებულებით დადგინდა, რომ 1989 წლის 1 იანვრიდან დღის (დასწრებული) უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები არ იქნებიან გაწვეული სამხედრო სამსახურში სწავლების პერიოდში.

ცნობილია, რომ ეს ბრძანებულება მოიწონა საზოგადოებამ, მას მხარი დაუჭირეს შრომითმა კოლექტივებმა, მეცნიერებმა და ახალგაზრდობამ. ამასთანავე საზოგადოებრიობამ დააყენა საკითხი, რომ ამ ბრძანებულებას მიენიჭოს უკუძალა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის დავალებით მთავრობამ შეისწავლა ეს პრობლემა და შემოიტანა თავისი წინადადებანი. როგორც იცით, 11 ივლისს მიღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების გასაგრძელებლად დღის (დასწრებული) უმაღლესი სასწავლებლების 1986-1988 წლებში გაწვეულ სტუდენტთაგან ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნის შესახებ.

საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის საბჭოთა და საზღვარგარეთელ მონაწილეთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებამ შეცვალა საზღვარგარეთ სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობათა როლი. 1989 წლის 30 მარტის ბრძანებულებით დამტკიცებულია ახალი დებულება ასეთ წარმომადგენლობათა შესახებ.

წინანდელი დებულების გადასინჯვა იმით არის გამოწვეული, რომ იმ სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების რაოდენობის არსებითის გაზრდასთან დაკავშირებით, რომლებსაც საგარეო ბაზარზე პირდაპირი გასვლის უფლება აქვთ, საჭირო ხდება სათანადო კონტროლი გაეწიოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ყველა საბჭოთა მონაწილის მიერ სსრ კავშირის სახელმწიფო ინტერესების დაცვას, საჭიროა ხელშეწყობა ასეთი საქმიანობის განხორციელებაში, ჩვენი ეკონომიკური ინტერესების დაცვა.

1989 წლის 10 მაისის ბრძანებულებით შეტანილია ცვლილებანი 1987 წლის 13 იანვრის ბრძანებულებაში „სსრ კავშირის ტერიტორიაზე საბჭოთა და უცხოეთის ორგანიზაციების, ფირმებისა და მმართველობის ორგანოების მონაწილეობით ერთობლივი საწარმოების, საერთაშორისო გაერთიანებებისა და ორგანიზაციების შექმნასთან და საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ“. საქმე ეხება იმ საწარმოებისა და გაერთიანებების შეღავათიან დაბეგვრას, რომლებიც, კერძოდ, იქმნება შორეული აღმოსავლეთის ეკონომიკურ რაიონში, ამ რეგიონის საწარმოო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო სფეროს განვითარების დაჩქარების ინტერესებისათვის.

თქვენს განსახილველად შემოგვაქვს აგრეთვე 1988 წლის 1 იანვრის ბრძანებულება, რომელიც აწესრიგებს სადღესასწაულო და სამახსოვრო თარიღებს და აწესებს ზოგიერთ პროფესიულ დღესასწაულს.

გარდა ამისა, ამხანაგო დეპუტატებო, თქვენს განსახილველად შემოგვაქვს კიდევ ერთი კანონპროექტი. იგი უკავშირდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ფუნქციათა შეცვლას, რომელიც ახლა კონსტიტუციის შესაბამისად აღარ წყვეტს რესპუბლიკური და ადგილობრივი საწარმოებისა და გაერთიანებების საკავშირო დაქვემდებარებაში გადაცემის საკითხებს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 8 ივნისის ბრძანებულებამ „საწარმოებისა და გაერთიანებების რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარებიდან საკავშირო დაქვემდებარებაში გადაცემის წესის შესახებ“ ფაქტობრივად დაკარგა ძალა. იმისათვის, რომ კანონმდებლობა შეესაბამებოდეს სსრ კავშირის კონსტიტუციას, შემოტანილია წინადადება იურიდიულადაც ვცნოთ ძალადაკარგულად ეს ბრძანებულება და მისი დამამტკიცებელი სსრ კავშირის 1978 წლის 6 ივლისის კანონი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამჯერად უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შემოტანილ ბრძანებულებათა მომზადებას ჰქონდა, არ შემეშინდება ამ სიტყვის თქმა, უპრეცედენტო ხასიათი. დაიწერა ასობით სტატია პრესაში. მოქალაქეთა ათიათასობით წერილი შეიცავს მსჯელობას ამ აქტების მოწონების, სრულყოფის ან გაუქმების შესახებაც კი. უმაღლესი საბჭოს პალატების ათმა კომისიამ და კომიტეტმა აზრი გამოთქვეს ბრძანებულებების შესახებ და შემოიტანეს მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი.

ამის შედეგად, როგორც კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტი იუწყება, ოთხი ბრძანებულების გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე უნდა განვიხილოთ გარკვეული ცვლილებები და დამატებები.

ყველაზე მეტი ცვლილება უნდა განვიხილოთ კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის შესახებ ბრძანებულების დამტკიცებასთან დაკავშირებით. კომიტეტებსა და კომისიებს საჭიროდ მიაჩნიათ საკავშირო აქტში შეიზღუდოს საგადასახადო განაკვეთების უმაღლესი ზღვარი, რომლებიც კოოპერატივებისათვის დგინდება მოკავშირე რესპუბლიკებში, გაფართოვდეს იმ შემოსავლის ნუსხა, რომელიც არ იბეგრება, აგრეთვე გაიზარდოს შეღავათები სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო, ახლად შექმნილი და ზოგიერთი სხვა კოოპერატივისათვის.

კომიტეტები და კომისიები მხარს უჭერენ წინადადებებს, რომ დაზუსტდეს „30-40-იანი წლების და 50-იანი წლების დამდეგს პერიოდში მომხდარი რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ და „1989-1990 წლების განმავლობაში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის ხარჯების შემცირების შესახებ“ ბრძანებულებათა ცალკეული დებულებანი. პირველში, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რეაბილიტირებულად უნდა ჩაითვალონ არა მარტო საკუთრივ გაუსამართლებლად ორგანოების მიერ რეპრესირებული მოქალაქენი, არამედ მათგან ისინიც, ვინც შემდეგ გაასამართლეს ჩვეულებრივი წესით უკანონო სპეცდასახლების ადგილებიდან გაქცევისათვის. მეორე ბრძანებულებაში უნდა დაკონკრეტდეს მეორე მუხლი, მხედველობაში გვაქვს მისი ახალი რედაქციით მთავრობას დაევალოს 1990 წლის 1 იანვრამდე განიხილოს საკითხი, რომ ხელფასი ერთი წლის ვადით შეუნარჩუნდეთ პირებს, რომლებსაც სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან ითხოვენ.

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, ამხანაგებო, რომ ბრძანებულებების სრულყოფის შესახებ წინადადებანი ისე ბევრი გამოითქვა და მათ იმდენად სხვადასხვაგვარი, ზოგჯერ კი ურთიერთგამომრიცხავი ხასიათი აქვს, რომ მათი რეალიზება დღეს უბრალოდ წარმოუდგენელია. კანონმდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე სერგეი სერგის ძე ალექსეევი, როგორც ჩანს, ამაზე უფრო დაწვრილებით ილაპარაკებს, მე კი მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ბევრ შენიშვნას საკმაოდ სადავო ხასიათი აქვს.

კერძოდ, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ ბრძანებულების თაობაზე ბევრი წინადადება შემოსული, რომ გაიზარდოს ჯარიმების ოდენობა ცალკეული დარღვევებისათვის, მაგრამ ბევრია ისეთებიც, რომლებიც პირიქით, მოითხოვენ საჯარიმო სანქციების შემცირებას.

იგივე შეიძლება დავინახოთ სადღესასწაულო და ღირსსახსოვარი თარიღების შესახებ ბრძანებულებათა თაობაზე გამოთქმულ წინადადებებში. ცხრა დეპუტატს, მაგალითად, საჭიროდ მიაჩნია დაწესდეს საჰაერო-სადესანტო ჯარების დღესასწაული. ხალხის ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტი წინადადებას იძლევა ბრძანებულებაში შევიტანოთ ახალი დღესასწაულები, კულტურის, ენის, ეროვნული და ინტერნაციონალური ტრადიციების განვითარების საკითხთა კომისია კი ვარაუდობს, რომ საერთოდ ყველა პროფესიული დღესასწაული უნდა გაუქმდეს. გარდა ამისა, ზოგიერთი კომიტეტი გვთავაზობს დაზუსტდეს დღესასწაულთა მოწყობის თარიღები.

ბევრია წინადადება ამა თუ იმ ბრძანებულების შინაარსში გავითვალისწინოთ მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ინტერესები. კერძოდ, მეცნიერების, სახალხო განათლების, კულტურისა და აღზრდის კომიტეტი წინადადებას იძლევა საბჭოთა არმიაში სამსახურის გამო შეღავათები, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს მიენიჭათ 1989 წლის 10 აპრილის ბრძანებულებით, გავრცელდეს საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებზე, აგრეთვე მიეცეთ შეღავათები პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებს. ყოველივე ეს, როგორც გესმით, გულდასმით დამუშავებას მოითხოვს.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ უმრავლეს შემთხვევაში კომისიებისა და კომიტეტის წინადადებანი მივიღეთ პირდაპირ უკანასკნელ დღეებში. და, როგორც ჩანს, გონივრული იქნება, თუ დღეს გავითვალისწინებთ იმას, რაც უკვე კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტმა დაამუშავა, წინადადებათა დანარჩენ ნაწილს კი დავავალებთ მას დამატებით შეისწავლოს და გააანალიზოს შესაძლო რეალიზაციის საგანი ჩვენი შემდგომი კანონშემოქმედებითი მუშაობის დროს.

თუმცა, უნდა შევნიშნო, კანონმდებლობის კომიტეტის წინადადებებში არის ზოგიერთი მომენტი, რომლებიც სესიაზე დამატებით განხილვას მოითხოვს. ეს, კერძოდ, არის ზოგიერთი შესწორება, რომლებსაც კომიტეტი გვთავაზობს კოოპერატივების დაბეგვრის შესახებ ბრძანებულების მიმართ, მათ შორის შესწორება დაბეგვრის უმაღლესი განაკვეთის შესახებ, აგრეთვე წინადადება, რომ გადასახადისაგან განთავისუფლების უფლება მინიჭებული ჰქონდეს არა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს, არამედ სპეციალურ სადეპუტატო კომისიას. ეს ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, სადეპუტატო კომისიებს ასეთი უფლებანი არა აქვთ.

დასასრულ, ამხანაგო დეპუტატებო, მინდა ვთქვა, რომ ამიერიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი არ ისარგებლებს რაიმე უფლებამოსილებით სსრ კავშირის კანონების დამატების ან შეცვლის საქმეში. პრეზიდიუმის ასეთ ფუნქციას არ ითვალისწინებს კონსტიტუციის ახალი რედაქცია და ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირობაა იმისა, რომ ჩვენი სახელმწიფო გადაიქცეს სამართლებრივ სახელმწიფოდ, სადაც კანონმდებლები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა და უმაღლესი საბჭო.

ეკოლოგია

გვეყო გულგრილობა, ახლა მოქმედების დროა!

რესპუბლიკაში თითქმის შეუსწავლელია თანამედროვეობის ერთ-ერთი მწვავე პრობლემა, რომელიც თან სდევს სოფლის მეურნეობასა და სხვა დარგებში შხამქიმიკატების გამოყენებას. განსაკუთრებით დიდი სიფრთხილე სჭირდება ინსექტიციდების [illegible] პესტიციდების სწორად გამოყენებას. საქმე ის არის, რომ, არასწორი გამოყენების შედეგად, ეს ნივთიერებანი დიდი რაოდენობით გადადის ნიადაგში, წყალში, მცენარეულობაში და აგროეკოსისტემათა სხვა ორგანიზმებში, რაც, ცხადია, საკმაოდ რთულ, ზოგჯერ კი შეუცნობ დაავადებებსაც იწვევს. საერთოდ, უკვე დადგენილია 6 მილიონზე მეტი ქიმიური ნაერთის სტრუქტურა. უფრო მეტიც, ყოველწლიურად 200 ათასამდე ახალ ნაერთს იღებენ. სამწუხაროდ, უმეტესობა ისე გამოიყენება, რომ ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი მათი ზემოქმედება როგორც გარემოზე, ასევე ადამიანის ჯანმრთელობაზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, ფართოდ გამოყენებული 65725 სახეობის ქიმიურ ნივთიერებათა შერჩევითმა ანალიზმა აჩვენა, რომ პესტიციდების დაახლოებით ათ და მედიკამენტების თვრამეტ პროცენტს არ გააჩნია მონაცემები, რომლის მიხედვითაც სრულად შეფასდებოდა მათი ზემოქმედება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. ქიმიურ ნივთიერებათა დაახლოებით 80 პროცენტია შეტანილი სიაში, რომელთა ტოქსიკურობაც გამოსაკვლევია. მარტო 1986 წელს 500-ზე მეტი ქიმიური ნივთიერება და პროდუქტი იყო მთლიანად აკრძალული (ან მკვეთრად შეზღუდული) მათსავე დამამზადებელ ქვეყნებში.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდის მიზნით ქიმიურ საშუალებათა არარაციონალური გამოყენება, სერიოზულ წანამძღვრებს უქმნის პესტიციდებითა და მინერალური სასუქების ნარჩენებით გარემოს გაჭუჭყიანებას.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაცემებით, შარშან სასურსათო პროდუქტებში პესტიციდების შემცველობაზე აღებული 10587 სინჯიდან 165-ში აღინიშნა მაქსიმალურად დასაშვებ ნორმაზე მეტი. ბაღჩეულ პროდუქტებში ნიტრატების შემცველობაზე აღებული 3778 სინჯიდან კი ზღვრულად დასაშვებ ნორმაზე მეტი აღმოჩნდა 602-ში.

აღსანიშნავია ისიც, რომ რესპუბლიკაში გამოუყენებელი, გაუვარგისებული და ჩამოსაწერია 195840 მანეთამდე ღირებულების 32717 ტონა შხამქიმიკატი. კვლავ არ არის გადაწყვეტილი სამარხი პოლიგონის მოწყობის საკითხი, რის გამოც ორგანიზაციები ვეღარ ინახავენ გასაუვნებელ ტოქსიკურ ნარჩენებს და უსისტემოდ, წესების ყოველგვარი უგულებელყოფით, „ინახავენ" ნარჩენებს, რომლებიც აჭუჭყიანებენ გარემოს.

მიწის ნაყოფიერებასა და საბოლოოდ მის შენარჩუნებაზე ხშირად უარყოფითად მოქმედებს ნაკვეთის იჯარით დამუშავების მეთოდი; აქ, უმთავრესად, მწარმოებელი „ვიწრო თვალსაზრისით" მოქმედებს, საბოლოოდ კი მიწა — ჩვენი მარჩენალი და მუდმივი კაპიტალი — შეიძლება შთამომავლობას უნაყოფო და გაუვარგისებული დახვდეს. საჭიროა გამოიძებნოს მოიჯარადეებთან ხელშეკრულების სათანადო ფორმები, 2—3 წელიწადში ერთხელ მაინც შემოწმდეს იჯარით აღებული ნაკვეთის ნაყოფიერება და განხორციელდეს ეკონომიკური სანქციები მიწის ნაყოფიერების შენარჩუნების, გაუმჯობესების, ან პირიქით, მისი გაუარესების მიხედვით.

რა მდგომარეობაა ჩვენში ამ თვალსაზრისით? ყოველ ჰექტარ სახნავზე მინერალური სასუქების შეტანა (1975 წლიდან 1988 წლამდე) 124-იდან 168 კილოგრამამდე გაიზარდა; ავიაციის საშუალებითაც საკმაოდ დიდ ფართობებზე შეაქვთ ქიმიკატები. კერძოდ, 1988 წელს, ასეთი ფართობები 0,54 მილიონ ჰექტარს შეადგენდა.

საკმაოდ სერიოზულია წყალსატევების გაჭუჭყიანება წყალშემკრები აუზიდან, სადაც ქიმიური ნივთიერებებით ამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს; განსაკუთრებით იზრდება ნიადაგებიდან მინერალური სასუქებისა და პესტიციდების შეტანა წყალსატევებში (წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის შედეგად). ასეთი სასუქები კი ინტენსიურად შეგვაქვს ნიადაგებში. მაგალითად, 1964 წლიდან 1986 წლამდე 218 ათასი ტონიდან 696 ათას ტონამდე (ესე იგი, დაახლოებით 3-ჯერ) გაიზარდა მინერალური სასუქების შეტანა. მათ შორის აზოტიანი სასუქი 339 ათასი ტონაა, ფოსფორიანი — 305 ათასი, ხოლო კალიუმიანი — 52 ათასი. ამავე დროს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების, ავადმყოფობისა და სარველების წინააღმდეგ გამოიყენება 30—35 ათასი ტონა შხამქიმიკატი. გაზაფხულობით, თოვლის დნობისას, ყოველი კვადრატული კილომეტრი ფართობიდან 400 კგ აზოტი, 24 კგ. ფოსფორი და სხვა მავნე ნივთიერებანი ხვდება წყალსატევებში.

მართალია, ჩვენს ქვეყანაში მავნე ნივთიერებების ზღვრულ-დასაშვები კონცენტრაციისათვის კია დაწესებული მკაცრი ნორმები, მაგრამ ეს პარამეტრი არ წარმოადგენს ისეთ სრულყოფილ მახასიათებელს, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდეს ვიმსჯელოთ წყალსატევის სისუფთავის ხარისხზე, რადგანაც მათ შემუშავებაში არ არის გათვალისწინებული ტოქსიკური ნივთიერებების აკუმულირების შესაძლებლობანი წყალმცენარეებში, ჰიდრობიონტებში და ფსკერულ ნალექებში. ამიტომ, თუ წყალსატევებში ასეთ მავნე ნივთიერებებს ხანგრძლივად უშვებენ, ეს მცირე კონცენტრაციების დროსაც კი იწვევს პოპულაციების დაღუპვას. მართალია, ზემოაღნიშნული სამუშაოებისას, რომლებიც შავი ზღვის აუზის მდინარეებისა და თვით ზღვის წყლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის კომპლექსური გეგმის შედგენას ითვალისწინებს, გაანალიზებული იქნება ამ ნაერთების მავნე გავლენა გარემოზე. ეს პრობლემა ხომ სათანადო გამოკვლევებსა და შესწავლას საჭიროებს. კერძოდ, დასაზუსტებელია გამოსაყენებელ ქიმიურ ნაერთთა ნომენკლატურა, მათი დოზები და სხვა. ამდენად, ცხადია, სათანადო კორექტივებია საჭირო სასუქების გამოყენების საქმეში. ამასთან, ჩვენში ღრმა მეცნიერულ დონეზე უნდა შევისწავლოთ სოფლის მეურნეობის ქიმიზაციასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, მინერალური სასუქების ჭარბად გამოყენების მიზეზები და შედეგები. ალბათ, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ორგანული სასუქები — გადამუშავებული ნაკელი და ნარჩენები, მასობრივად გადავიდეთ დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიურ მეთოდებზე და სხვა.

კიდევ ერთ მტკივნეულ პრობლემაზე — ეროზიაზე შევჩერდებით. დღეს საბჭოთა კავშირში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაახლოებით 4/5 განიცდის სხვადასხვა სახის ეროზიას. წვიმებისას და თოვლის დნობისას ყოველი ჰექტარიდან დაახლოებით 5-დან 10-30 ტონამდე ნიადაგის მასა იკარგება ყოველწლიურად, რის გამოც ზარალი დაახლოებით 51 მილიონი მანეთია.

ჩვენში, ტრადიციულად, სხვებზე მეტად შიდა ქართლი, გარეკახეთი და შირაქი ზიანდება, თუმცა სხვა რეგიონებშიც იმატა ამ ბოლო დროს ნიადაგის როგორც ქარისმიერმა, ასევე წყლისმიერმა ეროზიამ. ამასთან, საკმაოდ ინტენსიურია ნიადაგების გაეწრება. მაგალითად, წალკის მიდამოებში ფერდობებიდან ყოველწლიურად ირეცხება 160, ხოლო შუა ქართლში — 210 კუბური მეტრი ნიადაგი. საქართველოში, წყლისმიერი ეროზიით, ყოველი ჰექტარი სახნავი მიწებიდან საშუალოდ 125—165 ტონა ნიადაგი ირეცხება ყოველწლიურად, ხოლო კოკისპირული წვიმებისას — 300-500 ტონა. რაც მთავარია, ეროზიის შედეგად იკარგება ნიადაგის ზედა, ყველაზე პროდუქტიული ჰუმუსის ფენა, რის გამოც მოსავალიც მცირდება და ზოგჯერ ეს ფართობები წლობითაც კი უსარგებლო ხდება სოფლის მეურნეობისათვის. ბოლო 20-25 წლის განმავლობაში რესპუბლიკაში ასი ათას ჰექტარამდე სახნავმა ფართობებმა განიცადა დეგრადაცია. საერთოდ საქართველოში კი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საშუალოდ 400 ჰექტარი ფართობი განიცდის წყლისმიერ და ქარისმიერ ეროზიას.

აღნიშნული პროცესების შესაჩერებლად საჭიროა არა მარტო „მიწის კანონმდებლობის" განუხრელი შესრულება, ესე იგი, ნიადაგების სამართლებრივი დაცვა, არამედ ღრმა მეცნიერულ საფუძველზე შემუშავებული კონსტრუქციული გადაწყვეტილებების პრაქტიკული დანერგვაც.

რესპუბლიკაში ამ ბოლო დროს საკმაოდ გააქტიურდა სტიქიური პროცესები (მეწყერები, ზვავები). ეს პროცესები სათანადოდ არ არის შესწავლილი, მაგრამ ერთი კი ცხადია: წინასწარი, ღრმა ანალიზის გარეშე, მოუფიქრებელი ჩარევა ბუნებაში ხშირად ამ პროცესების გამომწვევი და დამაჩქარებელია. მაგალითად ისიც იკმარებს, რომ წყალშემკრებ აუზებში 70 პროცენტი ტყიანობის შემთხვევაში, თავსხმა წვიმისა და თოვლდნობისას, ჩამონადენი სტაბილურია, ტყიანობის ამ პროცენტის უმნიშვნელო შემცირებითაც კი სტაბილურობის შენარჩუნება თითქმის შეუძლებელი ხდება. ჩამონადენზე გავლენას ახდენს არა მარტო ტყეკაფვის წესი (მაგალითად, პირწმინდა, ამორჩევითი ჭრა და ა. შ.), არამედ მთის კალთებზე გაშენებული ხის ჯიშებიც და სხვა. ამ თვალსაზრისით, ალბათ, საჭირო იქნება ფუნდამენტურად შევისწავლოთ სვანეთსა და აჭარაში მომხდარი კატასტროფები. შეიძლება, სიტყვა „კატასტროფა" ზოგს ცოტა გაზვიადებულადაც კი მოეჩვენოს ბუნებაში მიმდინარე „აპოკალიფსების" მასშტაბებთან შედარებით, მაგრამ სვანეთსა და აჭარაში დატრიალებული ტრაგედიები, მართლაც რომ, კატასტროფა იყო ჩვენი რესპუბლიკისათვის.

ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გადაიხედოს ამ რეგიონებში ტყეების მთავარი სარგებლობით ჭრის საკითხი მათი აკრძალვის მიზნით. ასევე უნდა გადაიხედოს იგი რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა რეგიონშიც, სადაც რთული ეკოლოგიური მდგომარეობაა (მაგალითად, ლენტეხში, ცაგერში და სხვაგან). მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ყველგან, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ამის პირობები, ავკრძალოთ იგი, მით უმეტეს, როცა ლაპარაკია რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე. ასეთ საქმეში უკონტროლო ემოციები ცუდი მრჩეველი და თანამგზავრია. ტყეც ხომ ცოცხალი ორგანიზმია: იბადება, იზრდება და კვდება. საჭიროა ხანდაზმული და მომაკვდავი ხის მოჭრა და გამოყენება, რათა იგი სანიტარიული მდგომარეობის გაუარესების მიზეზი არ გახდეს. სწორედ ამას ითვალისწინებს რესპუბლიკაში ამჟამად მოქმედი ტყის შერჩევითი ჭრის სისტემა. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ჭრისას არ უნდა ირღვეოდეს არსებული წესი, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით. სწორედ ამას უნდა ვებრძოლოთ ერთად.

აქვე ერთ, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ საკითხზე შევჩერდებით, რომელსაც ვერაფრით მოება თავი: ხომ ჭეშმარიტებაა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ერთ სისტემაში, უწყებაში, ასე ვთქვათ, „ერთ ხელში" იყოს ერთდროულად ბუნებრივი რესურსები, მისი დაცვა, ექსპლოატაცია და გამოყენება? მით უმეტეს იმ უწყების ხელში, რომელიც თვითონ უწესებს ამ საკითხებს სახელმწიფო კონტროლს. სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, სამრეწველო ჭრა ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტიდან გადაეცა რესპუბლიკურ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქტყემრეწვს", ხოლო კომიტეტს დაევალა ტყის აღდგენა, დაცვა და მოვლა-პატრონობა, ე. ი. მხოლოდ ბუნებადაცვითი საქმიანობა. მთავრობის დადგენილება დღემდე შეუსრულებელია, პასუხს კი არავინ ითხოვს, და არც არავინ აგებს. ასეთი შეუსაბამობა გრძელდება და საზოგადოების სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

კიდევ ერთი მოსაზრება: ალბათ, სწორი იქნებოდა, კომპლექსურად შეგვესწავლა მესტიის რაიონში სვანეთის ეროვნული პარკის შექმნის საკითხი. დღეს საზოგადოებრივ აზრს უაღრესად დიდი ყურადღება ექცევა. სწორედ ამ აზრმა შეაჩერა ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობა, მაგრამ საზოგადოებრიობას მაინც საეჭვოდ მიაჩნია აღნიშნული პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტის საკითხი. ამ ეჭვის გასაფანტად აუცილებელია ბუნების დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, აგრეთვე სხვა დაინტერესებულმა უწყებებმა დროულად მოჰფინონ ნათელი მთელ რიგ საკითხებს, ამცნონ საზოგადოებას, თუ რა ბედი ეწია არაგვის ხეობაში მშენებარე ძირითად თუ დამხმარე ნაგებობებს, რა დანიშნულებისათვის ვიყენებთ ან გამოვიყენებთ მათ მომავალში, გრძელდება თუ არა საავტომობილო გზების მშენებლობა, რა სამუშაოები მიმდინარეობს ქსნის ტერიტორიაზე და ა. შ.

რაკი არაგვის ხეობა ვახსენეთ, ვერც გაზსადენის მშენებლობის საკითხს ავუვლით გვერდს. აქაც საჯაროობა გვმართებს. სათანადო სამსახურებმა მკაცრად უნდა დაიცვან მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ის ზიანი, რომელსაც ამ რეგიონის უნიკალურ ბუნებას ვაყენებთ.

და ბოლოს, ჩვენი დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა. საქმე ის არის, რომ წლების განმავლობაში ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის საკითხებისადმი ჩვენმა გულგრილმა დამოკიდებულებამ, უმოქმედობამ, ან კიდევ, სანახევრო და დროებითმა ღონისძიებებმა იქამდე მიგვიყვანა, რომ ამჟამად თბილისში შექმნილია ზედმიწევნით დაძაბული, „ეკოლოგიურად კონფლიქტური სიტუაცია", რაც საზოგადოების სამართლიან გულისწყრომას იწვევს. საჭიროა სათანადო კორექტივების შეტანა ქალაქმშენებლობის არსებულ პრაქტიკაში. უნდა მოწესრიგდეს სამრეწველო ობიექტებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის ასპექტები, რათა მთლიანად აღიკვეთოს გარემოს გაჭუჭყიანება.

აი, სამი ათეული წელია, რაც ჩვენს დედაქალაქში არც ერთი ბაღი თუ პარკი არ გაშენებულა. ამავე პერიოდში ქალაქი ინტენსიურად იზრდებოდა და შთანთქავდა განაპირა მწვანე მასივებს დიღომში, ვარკეთილში და სხვაგან. ამრიგად, გამოიკვეთა ქალაქმშენებლობის ცალმხრივად განვითარების ტენდენცია. ამიტომაც უნდა დაჩქარდეს ვაზისუბნის, მუხიანის, გლდანის, თბილისის ზღვის გარშემო კულტურისა და დასვენების ბაღ-პარკების და კიდევ, მეგობრობის, დიდი დიღმის პარკების გაშენება. დღეს ხომ დედაქალაქში ერთ სულ მოსახლეზე იმდენად მცირეა მწვანე ნარგავების რაოდენობა, რომ მისი დასახელებაც კი, ცოტა არ იყოს, უხერხული იქნებოდა. აქ მოჭრილი თითოეული ტოტიც კი ჩვენს უმეცრებაზე მეტყველებს. ხშირია ამის მაგალითები: ქალაქში ახალი სახლების, მთელი უბნების, მემორიალებისა და სხვა ნაგებობათა გაშენება, სამწუხაროდ, მწვანე საფარის ხარჯზე (ნუცუბიძის ფერდობი, ბაგები, თბილისის ზღვის მიდამოები და ბევრი სხვა) ხდება, და არად აგდებენ იმას, რომ არაერთი თაობის მძიმე, შეუპოვარი შრომის შედეგად შეიქმნა ეს სასიცოცხლო ნარგავები ურთულეს პირობებში. მომავალში მეტად მკაცრი და პრინციპული შეფასება უნდა მიეცეს ასეთ ფაქტებს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ეს, მით უმეტეს, რომ, ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანებასთან დაკავშირებით ეკოლოგიური ვითარება კვლავ დაძაბულია თბილისში. სტაციონარული წყაროებიდან საჰაერო აუზში მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევი 4,7-ჯერ აჭარბებს ზღვრულად დაშვებულ დონეს; თბილისის ატმოსფერულ ჰაერში სამრეწველო საწარმოებიდან და ავტოტრანსპორტიდან წლიურად გამოიფრქვევა 326.459 ათას ტონამდე მავნე ნივთიერებანი, რომელთაგან 42.527 ათასი ტონა (13 პროცენტი) სამრეწველო საწარმოებზე, ხოლო 283.932 ათასი (87 პროცენტი) ავტოტრანსპორტზე მოდის. ბევრია თუ ცოტა ეს? თუ გავითვალისწინებთ, რომ თბილისის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია 2—2,5-ჯერ აღემატება დასაშვებ სანიტარიულ ნორმებს, ადვილი მისახვედრია, რაოდენ დიდია ეს ციფრი. რაოდენ სავალალოა, რომ მისი საგრძნობი შემცირების ტენდენციაც კი არ შეიმჩნევა ჯერ-ჯერობით.

მიუხედავად მნიშვნელოვანი სამუშაოებისა, ჯერ კიდევ ბევრი მოსაგვარებელი საკითხია დედაქალაქის წყალმომარაგებაში. ვერ იქნა და ვერ მოწესრიგდა (მთელ რიგ სამრეწველო ობიექტებზე) ბრუნვითი და განმეორებითი სისტემების დანერგვა, რის გამოც ბევრი საწარმო, ტექნიკური მიზნებისათვის დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ, კვლავ სასმელ წყალს ხარჯავს. მოსაწესრიგებელია დედაქალაქის მცირე მდინარეების — გლდანულას, დიღმულას, ვერეს, ლოჭინის სანიტარიული მდგომარეობა.

ფრიად პრობლემურია მტკვრის დაცვის ასპექტები. ეს მდინარე კვლავ საკანალიზაციო კოლექტორის როლს ასრულებს. ვერ იქნა და ვერ გავართვით თავი როგორც თბილის-რუსთავის რეგიონალურ საწმენდ ნაგებობათა კომპლექსის, ასევე მთავარი გამყვანი კოლექტორის სრულყოფილ გაანგარიშებას და დაპროექტებას, რომ არაფერი ვთქვათ მშენებლობისა და ექსპლოატაციის კულტურაზე, რის გამოც მტკვარში კვლავ ჩაედინება გაუწმენდავი წყლები.

შეიძლებოდა კიდევ გაგვეგრძელებინა რესპუბლიკის „ეკოლოგიურად კონფლიქტური" სიტუაციების ჩამოთვლა. ეკოლოგიური ასპექტების თვალსაზრისით საჭიროა ნამდვილი თვისებრივი და ხარისხობრივი გარდაქმნა, რათა გავუძღლოთ და ფეხი ავუწყოთ დღევანდელ ეკოლოგიურ სიტუაციებს, სწორად განვსაზღვროთ მომავალი.

ზემოთ განხილული პრობლემები მხოლოდ ენთუზიაზმით, ამა თუ იმ სამეცნიერო თუ სასწავლო დაწესებულებებში არსებული ცალკეული კადრებით, გნებავთ, მარტო კონტროლით (რომელსაც დღეს ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს) თითქმის შეუძლებელია. საამისოდ საჭიროა კომიტეტთანვე შეიქმნას მძლავრი საბაზო სამეცნიერო ეკოცენტრი (ჯერჯერობით იგი მხოლოდ ქაღალდზეა შექმნილი), რომელიც არა მარტო კოორდინაციას გაუწევს რესპუბლიკაში სათანადო სამეცნიერო თუ საპროექტო სამუშაოებს, არამედ თვითონვე იქნება ფლაგმანი ჩვენი ეროვნული ეკოლოგიური პრობლემების წარმართვასა და გადაჭრაში. ჩვენ არ შევჩერდებით ეკოცენტრის სტრუქტურაზე, თუმცა, აღვნიშნავთ, რომ აქ უნდა იყოს თავმოყრილი ყოველგვარი ინფორმაცია, დაკავშირებული ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის საკითხებთან, როგორც გლობალური, ასევე რესპუბლიკის მასშტაბით.

ცენტრმა უნდა შეიმუშაოს გეგმაზომიერი, მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებანი, რომლებიც სასურველ საზღვრებში მაინც შეინარჩუნებს ბალანსს საზოგადოებასა და ბუნებას შორის.

სწორედ აღნიშნულ პრობლემათა გადაჭრაა დღეს ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა და იგი, როგორც აღვნიშნეთ, უწინარესად. საკუთარ მძლავრ მეცნიერულ ბაზას უნდა ემყარებოდეს. გარდა ამისა, რესპუბლიკას უნდა ჰქონდეს სათანადო ეკონომიკური სახსრებიც, რათა ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დამცავ ღონისძიებათა კომპლექსი განხორციელდეს რესპუბლიკის სპეციფიკის, ისტორიული, ეროვნული, დემოგრაფიული განვითარების თავისებურებებისა და სხვათა გათვალისწინებით. ამ პრობლემათა გადაჭრა შეუძლებელი იქნება ბუნებათსარგებლობისათვის არსებული საგადასახადო პოლიტიკის შეცვლის გარეშე. ასეთ პირობებში, მით უმეტეს რესპუბლიკის თვითანაზღაურებაზე გადასვლის დროს, მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ბუნებრივი რესურსების ფასიანობის პრინციპის განხორციელებამ. როგორც უკვე ვთქვით, ბუნებრივ რესურსებზე გადასახადის დაწესება მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, რესურსების ბუნებრივ პროდუქტიულობაში არსებულ განსხვავებათა გამო წარმოქმნილ დიფერენციული რენტის ამოღებას, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთრივ რესურსების აღდგენის უზრუნველყოფას. აღნიშნული გადასახადი თითქმის მთლიანად უნდა გადაეცეს რესპუბლიკურ (ადგილობრივ) ბიუჯეტს რეგიონის ბუნებრივი რესურსების აღსადგენად. ამოღებული თანხა აუცილებელია არა მხოლოდ ნაკლებპროდუქტიული რესურსებით სარგებლობის ინტენსიფიკაციისათვის, არამედ იმ რესურსების შესაძენადაც, რომლებიც მოცემულ რეგიონში არ მოიპოვება და მხოლოდ სარესპუბლიკათშორისო კავშირების საშუალებითაა შესაძლებელი. საჭიროა დაჩქარდეს რესპუბლიკის ეკოლოგიური ფონდის ჩამოყალიბება, რომელიც შეივსება ბუნების დაცვის კანონის დარღვევისათვის ჯარიმების, გარემოს გაჭუჭყიანებისა და ბუნებრივი რესურსების ზენორმატიული გამოყენებისათვის გადასახადებისა და სხვათა ხარჯზე. ამ მხრივ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აგრეთვე რესპუბლიკის ყველა წარმოება-დაწესებულებამ, სამინისტრომ და უწყებამ ამ ფონდში ყოველწლიურად შეიტანოს წინასწარ განსაზღვრული თანხა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, სათანადო ლიმიტებით და სხვა. ამ სახსრების კონცენტრაცია საშუალებას მოგვცემს გონივრულად და მიზანმიმართულად გავუნაწილოთ იგი შესაბამის ორგანიზაციებს ბუნებადაცვითი მიზნობრივი ღონისძიებების განსახორციელებლად. ამით ხომ ბევრად გაადვილდება ამ თანხების ათვისების კონტროლიც.

არსებობს სხვა პრობლემები თუ „ეკოლოგიურად კონფლიქტური სიტუაციებიც", მაგრამ მათზე აქ აღარ შევჩერდებით.

ამრიგად, დღეს კომიტეტის, ისევე როგორც მთელი ჩვენი რესპუბლიკისა და საზოგადოების წინაშე დგას მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ამოცანები, რომელთა წარმატებით გადაჭრა ჩვენი ვალი და მოვალეობაა. უდავოა, რომ ერთ სამინისტროსა თუ უწყებას ძალზე გაუჭირდება ყოველივე ზემოაღნიშნულის განხორციელება. ჩვენი ბუნება არა მარტო საერთო-სახალხო სიმდიდრე, არამედ საერთო-სახალხო საზრუნავიცაა. და ამდენად, ჩვენი თხოვნაა, მხარში ამოვუდგეთ ერთმანეთს ამ საშვილიშვილო საქმეში.

ზ. ჭალაგანიძე,
საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

დასასრული. „დასაწყისი იხ. „კომუნისტი", № 170.

მომჭირნეობა საერთო-სახალხო საქმეა

რამდენიმე თვე გავიდა მას შემდეგ, რაც გააჩერეს სომხეთის ატომური ელექტროსადგური, რომელიც ელექტროენერგიას აწვდიდა საქართველოსაც. უნდა ითქვას, რომ ატომური ელექტროსადგურის გაჩერების, აგრეთვე სტიქიურ უბედურებათა მიუხედავად, დროდადრო რომ ატყდება თავს ჩვენს რესპუბლიკას, საქენერგოს კოლექტივმა შეძლო უზრუნველეყო სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შეუფერხებელი, სტაბილური მუშაობა. მიღწეულია ენერგეტიკულ სიმძლავრეთა უფრო სრული გამოყენება, გაუმჯობესდა საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები. კერძოდ, ამ პერიოდში ელექტროენერგიის გამომუშავებამ მოიმატა თითქმის 13 პროცენტით, ხოლო პროდუქციის რეალიზაცია გაიზარდა 6 პროცენტამდე. გაუმჯობესდა ისეთი მაჩვენებლებიც, როგორიცაა პირობითი სათბობის ხვედრითი ხარჯი ელექტროენერგიის წარმოებისათვის, მისი მოხმარება საკუთარი საჭიროებებისათვის. მნიშვნელოვნად შემცირდა ელექტროენერგიის დანაკარგები.

მაგრამ ეს აშკარად არ არის საკმარისი. ზაფხულის თვეებში, ჩვეულებრივ, სახალხო მეურნეობა ნაკლებ ელექტროენერგიას ხმარობს და ენერგეტიკას ეს პერიოდი უნდა გამოიყენონ ენერგოსისტემის ყოველმხრივ მოსამზადებლად მომავალი შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის.

ამ სამზადისს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმიტომაც, რომ მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გამო რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზის განვითარება არსებითად ჩამორჩება სამრეწველო წარმოების ტემპს და ვერ აკმაყოფილებს მის მზარდ მოთხოვნილებებს.

ელექტროენერგიის გამომუშავება და მოხმარება საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით თითქმის ორჯერ ჩამორჩება საშუალო-საკავშირო მაჩვენებელს, მცირეა შრომის ენერგოშეიარაღება, ვერ შესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის დონე. მოსახლეობისათვის განკუთვნილი სათბობის საბაზრო ფონდების ნაკლებობა ელექტროენერგიის ჭარბ ხარჯს იწვევს, რაც დამატებით აძლიერებს ენერგობალანსის დაძაბულობას და მნიშვნელოვნად აქვეითებს ზამთრის პერიოდში ელექტრომომარაგების საიმედოობას.

ჯერ კიდევ თებერვალში მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დადგენილება სომხეთის ატომური ელექტროსადგურის ენერგობლოკების გაჩერებასთან დაკავშირებით 1989-1990 წლებში საქართველოს სსრ ენერგომომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ. მაგრამ ეს დადგენილება კეთილსინდისიერად როდი სრულდება ყველა ენერგეტიკულ მეურნეობაში, სამრეწველო საწარმოსა და კერძო სექტორში. სწორედ ამიტომ არის შეფერხებანი ელექტრომომარაგებაში, რომლებიც შემოდგომა-ზამთრის პერიოდში შეიძლება უფრო მეტად გაიზარდოს.

1989-1990 წლების შემოდგომა-ზამთრის მაქსიმუმისათვის ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელების ობიექტების მუშაობის საიმედოობის გაზრდისა და სიმძლავრის შეზღუდვათა აღკვეთის ძირითადი ღონისძიებანი საქენერგოსაგან, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს შექმნას წყლის მაქსიმალურად შესაძლო მარაგი წყალსაცავებში, რომლებიც არეგულირებენ ენგურის, ხრამისა და შაორის ჰიდროელექტროსადგურების მუშაობას. საქენერგომ საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად უნდა უზრუნველყოს, რომ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის სისტემის თბოსადგურებში შეიქმნას სათბობის მარაგი 260 ათასი ტონის ოდენობით, და მომავალი წლის 1 იანვრისათვის —180 ათასი ტონა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის №2 და 3 ენერგობლოკების ხარისხოვან და დროულ კაპიტალურ რემონტს, №4 და 8 ენერგობლოკების საშუალო რემონტს, აგრეთვე დანარჩენი ენერგობლოკების მიმდინარე რემონტს.

კაპიტალურად არის გასარემონტებელი აგრეთვე ტყვარჩელის **სახრესის** ცალკეული ტურბოგენერატორები და ქვაბ-აგრეგატები. სულ წლის დამლევამდე „საქენერგომ" კაპიტალურად უნდა გაარემონტოს 855 მეგავატი საერთო სიმძლავრის 24 ჰიდროაგრეგატი, 110 კილოვატი და მეტი ძაბვის 115 კილომეტრი ელექტროქსელები და სამ კილომეტრამდე მაგისტრალური თბოქსელები.

დიდი ამოცანები დგას მშენებელთა წინაშე. მაგალითად, თბილისის **სახრესში** საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 300 მეგავატი სიმძლავრის №9 ენერგობლოკი. მესამე კვარტალში უნდა აშენდეს წყალსატარი: რუსთავის კამხალი — თბილისის **სახრესი**, რომლის სიმძლავრე შეადგენს 26 კუბურ მეტრ წყალს წამში.

ამ და სხვა პასუხსაგებ დავალებათა შესასრულებლად საქენერგოს, საქჰიდროენერგომშენს, კავკასიის ელექტროქსელმშენის ტრესტს დახმარება უნდა გაუწიონ დამპროექტებლებმა, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, ამიერკავკასიის ტრანსმშენის ტრესტმა, სახმომარაგებამ, სახმშენმა და სახაგრომრეწვმა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ელექტროენერგიის და სათბობის მომჭირნედ ხარჯვას. საქმისადმი ასეთი მიდგომა განსაკუთრებით საჭიროა ჩვენი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის პირობებში, სადაც „დაზოგვის" ცნება „დამატებითი გამომუშავების" ტოლფასია. ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილია ელექტროენერგიის მოხმარებისა და დაზოგვის პროცესების მართვის გარკვეული გამოცდილება, რომელიც უნდა გავიხსენოთ და კვლავ ჩავაყენოთ ინდუსტრიის სამსახურში.

სინამდვილეში კი რას ვხედავთ? მთელი რიგი საწარმოები სისტემატურად ნორმის გადამეტებით ხარჯავენ ელექტროენერგიას, ზოგ საწარმოში დადგენილია პროდუქციის ერთეულზე მისი ხარჯის გაზრდილი ნორმები, რის შედეგადაც დაზოგვა არსებითად ფიქციურია.

ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების ყველაზე ენერგოტევად საწარმოებს დაუწესა ელექტროენერგიისა და სიმძლავრის დამატებითი დაზოგვის დავალებანი. ხელმძღვანელებს მოეთხოვებათ პირადი პასუხისმგებლობით შეიმუშაონ ამ ლიმიტების განუხრელი დაცვის ღონისძიებანი, უმკაცრესი კონტროლი დაუწესონ მათი შესრულების მიმდინარეობას. ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა სითბური საქვაბისა და ქსელის ხარისხოვან და დროულ მომზადებას შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის.

ელექტროენერგიის დაზოგვის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტექნიკურად გამართული მოწყობილობა. ამავე დროს ჩვენს რესპუბლიკაში მრავლად არის საწარმო-ორგანიზაციები, სადაც ტრანსფორმატორები, შინასამეურნეო ელექტროგაყვანილობა, ამომრთველები და სხვა მოწყობილობა არაკვალიფიციური მომსახურების გამო ხშირად ფუჭდება და მოცდენებისა და ავარიების მიზეზი ხდება.

განსაკუთრებით დამაფიქრებელი მდგომარეობა შეიქმნა მას შემდეგ, რაც ენგურჰესის მუშაკები, რომელთა ჰიდროსადგური ელექტროენერგიით ასაზრდოებს მთელ რესპუბლიკას, იძულებული გახდნენ აგზნებულ ადამიანთა დიდი ჯგუფის ძალდატანებით დაეწყოთ წყლის გაშვება წყალსაცავიდან და პრაქტიკულად შეეჩერებინათ ელექტროსადგურის მუშაობა. მართალია, საქართველოს დაუყოვნებლივ ამოუდგნენ მხარში კრასნოდარელი ენერგეტიკოსები, რომლებმაც ჩვენკენ გამოუშვეს დამატებითი ენერგია, მაგრამ ეს არ არის გამოსავალი. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ასე გულუხვად ვეღარ დაგვეხმარებიან. ამიტომ ყველას გვმართებს გამოვიჩინოთ მეტი კეთილგონიერება, სინდის-ნამუსი, ვიყოთ ჩვენი ჭეშმარიტი მამულიშვილები და საერთოდ გამოვუცხადოთ შეურიგებელი ბრძოლა ენერგორესურსების უყაირათო გამოყენებას. მომჭირნეობა საერთო-სახალხო საქმე უნდა გახდეს.

ვალერიან ვადაჭკორია,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
(საქინფორმი)

საჭიროა კონკრეტული დახმარება

ქუთაისის ელექტრომექანიკურ ქარხანაში შეიქმნა ახალქალაქის რაიონის სოფელ ჩუნჩხაში გადასახლებული აჭარლების დახმარების შტაბი.

— ამ ფაქტს საფუძვლად დაედო საწარმოს მშრომელთა სურვილი კონკრეტული დახმარება გაუწიონ იქ ჩასახლებულ ოჯახებს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ქარხნის პარტკომის მდივანმა დემურ მარდალეიშვილმა.

განსაკუთრებით გვაღელვებს ის ფაქტი, რომ სოფელში არ არის სასმელი წყალი, იგი შორიდან მოაქვთ მანქანებით. უფრო მეტი, ჩამოსახლებულებს უწევთ იცხოვრონ ვაგონებსა და კარვებში. ზამთრის სიცივეების დადგომამდე კი არცთუ ისე დიდი დრო დარჩა. გადავწყვიტეთ კოლექტივის მიერ დამატებით შეგროვებული ფულით ავაშენოთ სოფელში საცხოვრებელი სახლი, თანაც სამშენებლო სამუშაოებს საკუთარი ძალებით განვახორციელებთ.

ასევე აქვთ გადაწყვეტილი ტრაქტორმშენებლებსაც, რომელთა წარმომადგენლები აგრეთვე გაემგზავრნენ ახალქალაქის რაიონში. მათ საჩუქრად მიაქვთ სამი მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი და ქარხანაში დამზადებული პირველი საჭიროების საგნები.

— სასურველია, — თქვა დასასრულ პარტკომის მდივანმა, — რომ ქუთაისის სხვა საწარმოთა კოლექტივებმაც იკისრონ სოფელ ჩუნჩხის შეფობა და უახლოეს ხანს თავისი ძალებით აშენონ იქ სახლები, გაიყვანონ სოფელში სასმელი წყალი, დაეხმარონ ადგილობრივ მცხოვრებლებს კლუბის მშენებლობაში.

უცხოეთში

[illegible]
25 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● **პოლონეთი**

პრეზიდენტის კონსულტაციები

ვარშავა. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვოიცეხ იარუზელსკიმ დაიწყო კონსულტაციები სეიმში წარმოდგენილი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალების წარმომადგენლებთან ქვეყნის ახალი მთავრობის ჩამოყალიბების საკითხზე.

სახელმწიფოს მეთაურმა მიიღო გაერთიანებული გლეხთა პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე ეჟი იუზვიაკი. შეთანხმდნენ, რომ პრეზიდენტი 25 ივლისს გამართავს კონსულტაციას „სოლიდარობის" სამოქალაქო კომიტეტის თავმჯდომარესთან ლეხ ვალენსასთან.

● **ახლო აღმოსავლეთი**

საზავო კონფერენცია ერთადერთი გზაა

ტუნისი. თელ-ავივის მიერ ოკუპირებულ მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირსა და ღაზის სექტორში პალესტინელთა აჯანყების გაერთიანებული ხელმძღვანელობა გამოვიდა მოწოდებით, რომ გაერთიანდნენ პალესტინელ ხალხთა მასები და კატეგორიულად თქვან უარი ისრაელის პრემიერის შამირის ეგრეთ წოდებულ „სამშვიდობო გეგმაზე".

ვაფას სააგენტოს მიერ აქ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ შამირის გეგმა, რომლის შელამაზებასაც ცდილობს ამერიკის ადმინისტრაცია, მიზნად ისახავს იმას, რომ ძირი გამოუთხაროს პალესტინელი ხალხის ერთობას, ჩააქროს ინტიფადი — პალესტინელთა სახალხო აჯანყება, გაამარადისოს ოკუპაცია, წაართვას პალესტინელებს თვითგამორკვევისა და საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ახლო აღმოსავლეთის საკითხზე საერთაშორისო საზავო კონფერენცია უნდა გახდეს კონფლიქტის გადაწყვეტის საფუძველი. გაერთიანებულმა ხელმძღვანელობამ მოუწოდა მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირისა და ღაზის სექტორის მოსახლეობას განამტკიცოს და გააფართოოს სახალხო კომიტეტები ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

უშიშროების საბჭოში

სერიოზული შეშფოთება

ნიუ-იორკი. აქ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს კონსულტაციები კვიპროსში ამ დღეებში მომხდარი ინციდენტების გამო, რომელთა შედეგადაც დაირღვა ბუფერული ზონის სტატუსი, კუნძულის ორი თემის ბინადრობის რაიონებს რომ მიჯნავს.

ინციდენტების დროს, რომლებშიც მონაწილეობდნენ როგორც კვიპროსელი ბერძნები, ისე კვიპროსელი თურქები, დაანგრიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამეთვალყურეო საგუშაგო. კონსულტაციების შემდეგ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ დრაგოსლავ რეიჩმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეს უმნიშვნელოვანესი ორგანო სერიოზულად არის შეშფოთებული კვიპროსში მომხდარი მოვლენების გამო. მან თქვა, რომ უშიშროების საბჭომ დაავალა მას შეხვდეს ორივე მხარის წარმომადგენლებს და განიხილოს კუნძულზე შექმნილი დაძაბული ვითარება.

ფოტოინფორმაცია

26 ივლისი კუბის ეროვნული აჯანყების დღეა

„გრანხიტა სიბონეი" — პატარა ფერმის ეს სახელი შევიდა კუბის სახელოვან რევოლუციურ ისტორიაში, ვინაიდან 1953 წლის 26 ივლისს იგი გახდა 165 ახალგაზრდის თავშეყრის ადგილი, რომლებიც გაბედულად დაესხნენ ბატისტას ტირანიის მთავარ სიმაგრეს — მონკადის ყაზარმას.

ეს იყო პირველი შეიარაღებული ბრძოლა დიქტატურის წინააღმდეგ იმ მრავალთაგან, რომლებიც წინ ედოთ „ბარბუდოსებს" მანამ მსოფლიო რუკაზე არ გამოჩნდა ქვეყნის ახალი სახელი: თავისუფლების კუნძული.

ამჟამად „გრანხიტა სიბონეიში" მოქმედებს ისტორიული მუზეუმი, რომლის ექსპონატებიც მოგვითხრობენ კუბის ისტორიის გმირულ დღეებზე, პატრიოტების თავგანწირვასა და მამაცობაზე. მაშინ ისინი დამარცხდნენ, მაგრამ შტურმმა აანთო რევოლუციის ნაპერწკალი ქვეყანაში. ხალხი აღსდგა კუბის საბოლოო განთავისუფლებისათვის საბრძოლველად, რომელიც ტრიუმფით დამთავრდა 1959 წლის იანვარში.

სურათებზე: „გრანხიტა სიბონეი"; სანტიაგო-დე-კუბას ყოფილ მონკადის ყაზარმაში ამჟამად განლაგებულია სკოლა.

ტელეტაიპის ლენტიდან

⊙ დელი. ჯაფნიდან (შრი-ლანკის ჩრდილოეთი) მიღებული ცნობებით, ტამილის ექსტრემისტული დაჯგუფების „ტამილ ილამის" განთავისუფლების ვეფხვების" ხელმძღვანელობაში გაძლიერდა საშინაო უთანხმოებანი. როგორც იუნის სააგენტომ გადასცა, ბოლო დღეებში მოხდა თავდასხმები დაჯგუფების ზოგიერთ ლიდერზე. დადის ხმები, რომ მოკლულია მისი მეთაური ვ. პრაბხაკარანი.

⊙ სტოკჰოლმი. ორი კვირის ძებნის შემდეგ პოლიციამ დააკავა შვეციის პრემიერ-მინისტრის ულოფ პალმეს მკვლელობის საქმეში ერთ-ერთი მთავარი მოწმე, რომელიც ხელისუფალთ ემალებოდა. ეს არის ახლო ნაცნობი კრისტერ პეტერსონისა, რომელსაც ბრალად ედება დანაშაული.

⊙ ლონდონი. უჩვეულო სიცხეა ამ დღეებში ინგლისში. ტემპერატურა ლონდონსა და ქვეყნის ზოგიერთ სამხრეთის რაიონში 34 გრადუსს აღემატება ცელსიუსით. უჩვეულო სიცხე ახლა ათასობით ინგლისელს საშინლად აწუხებს. მდგომარეობა იმანაც გაართულა, რომ მწყობრიდან გამოვიდა ლონდონისა და მიმდებარე რაიონების ზოგიერთი წყალმომარაგების ნაგებობა.

აფხაზეთის ამბების გამო

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ვითარება თანდათანობით ნორმალურ კალაპოტში დგება. ქალაქი სოხუმი, ავტონომიური რესპუბლიკის სხვა დასახლებული პუნქტები ჩვეულებრივი ყოველდღიური რიტმით იწყებენ ცხოვრებას. მუშაობს ყოველგვარი ტრანსპორტი. დღე-ღამის განმავლობაში გაიგზავნა 37 მატარებელი, მათ შორის 7 სამგზავრო და 8 ელექტრომატარებელი. 25 ავიარეისით გადაყვანილია 1286 მგზავრი.

ვითარების მოწესრიგების მაჩვენებელია ისიც, რომ ადამიანები ახლა ნებაყოფლობით აბარებენ ცეცხლსასროლ იარაღს მილიციის ორგანოებს. სულ განვლილი დღე-ღამის განმავლობაში აქ ჩამორთმეული და ნებაყოფლობით ჩაბარებულია 146 სანადირო თოფი, 22 შაშხანა, 2 პისტოლეტი, ავტომატი და 20 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება. თუმცა აფხაზ და ქართველ მოსახლეობას შორის პრაქტიკულად შეტაკებები აღარ ხდება, მაგრამ ადამიანთა ქცევაში ჯერ კიდევ იგრძნობა დაძაბულობა, ახალ შეტაკებათა შიში. აფხაზეთის ტერიტორიაზე კვლავ მოქმედებს მოქალაქეთა ქცევის განსაკუთრებული რეჟიმი, რომლის დარღვევისათვის განვლილი დღე-ღამის განმავლობაში 23 კაცი დააკავეს.

24 ივლისს სოხუმის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებას მოქალაქე მ. პირველმა მიმართა განცხადებით იმის შესახებ, რომ 15 ივლისს ქალაქ სოხუმში უცნობმა პირებმა ცეცხლი დაუშინეს მის კუთვნილ ავტომანქანას, რის შედეგად საბურავს აქვს ნატყვიარები, თვითონ კი მსუბუქად დაიჭრა საფანტით. მიმდინარეობს გამოძიება. იმავე დღეს გალის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებას განცხადებით მიმართა გალის მონადირეთა საზოგადოების თავმჯდომარემ გ. სანაიამ, რომ, როგორც 23 ივლისს აღმოაჩინა, დაუდგენელ დამნაშავეებს გაუტეხიათ საკეტი და შესულიყვნენ მაღაზიაში, საიდანაც მოეპარათ ვაზნები, დენთი და საფანტი. მოტაცებული ტყვია-წამლის რაოდენობას ადგენენ: მაღაზიაში მიმდინარეობს ინვენტარიზაცია. ხორციელდება დამნაშავეთა დადგენის, დაკავებისა და მოპარულის აღმოჩენის ღონისძიებანი.

სამწუხაროდ, ყველა მოქალაქე როდი ეხმაურება მილიციის ორგანოების მოწოდებას ნებაყოფლობით ჩააბარონ იარაღი ან აცნობონ მისი ადგილსამყოფელი. არადა, მათი გამოყენების შედეგად ზარალდებიან ადამიანები. მაგალითად, 23 ივლისს გუდაუთის რაიონის სოფელ ორჯონიკიძეში რ. სანგულიამ წაკინკლავების დროს რეგისტრაციაში გაუტარებელი სანადირო თოფით დაჭრა თავისი მეზობელი ა. რეხვიაშვილი. სანგულია დაკავებულია. მიმდინარეობს გამოძიება.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 21 ივლისს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოტაფში მოკლეს უფროსი ლეიტენანტი ვ. ნოვიკოვი და კურსანტი ვ. აკოფოვი. ამ დანაშაულში ეჭვი მიიტანეს და დააკავეს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუს ორი მცხოვრები. დაწვრილებით ამბებს მოგვიანებით გაცნობებთ.

პროკურატურამ და შინაგან საქმეთა ორგანოებმა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მომხდარი ამბების დროს ჩადენილ დანაშაულთა გამო აღძრეს 51 სისხლის სამართლის საქმე. ყველა დამნაშავე დამსახურებისამებრ დაისჯება.

კვლავინდებურად შემაშფოთებელია ვითარება დასავლეთ საქართველოში. 23 ივლისს სოფელ წყემში დაუდგენელმა დამნაშავემ დანით დაჭრა ვ. საყვარელია, რომელიც გარდაიცვალა. წარმოებს გამოძიება და ძებნა.

ახალციხის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს რამდენიმე ეჭვმიტანილი, რომლებმაც, შევიდნენ რა ახალციხის ყველ-კარაქის ქარხნის დირექტორის ა. ხვედელიძის სამუშაო კაბინეტში, მოსთხოვეს 10 ათასი მანეთი. მათი დაკავების დროს ავტომანქანიდან ამოიღეს ორი სანადირო თოფი და ვაზნები, ორი სანადირო დანა და ერთი თვითნაკეთი სამზარეულო დანა. აღნიშნულმა პირებმა განაცხადეს, თითქოს მათ ფული იარაღის შესასყიდად სჭირდებოდათ, რათა დაეცვათ ქართველი მოსახლეობის ინტერესები. მიმდინარეობს გამოძიება.

როგორც საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, სამართალდამცავ ორგანოებს აქვთ საკმარისი ძალები და საშუალებები იმისათვის, რომ წესრიგი დაამყარონ რესპუბლიკაში და დაიცვან მოქალაქენი მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. ნუ დაუჯერებთ ხმებს, თითქოს ასობით ადამიანი დაღუპულიყოს აფხაზეთში მომხდარი ამბების დროს. როგორც უკვე ვიუწყებოდით, დაიღუპა 18 კაცი, 294 კაცი დაშავდა. დღეისათვის სტაციონარულად მკურნალობს 70 კაცი, ერთი მათგანი მძიმე მდგომარეობაშია.

სიტუაციას რესპუბლიკაში კონტროლს უწევენ პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოები.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესჯგუფი.

წერილი „კომუნისტს“

ძვირფასო საზოგადოებავ!

ახალგაზრდებო, თანატოლებო, უფროსო მეგობრებო!

დღეს, ალბათ, როგორც არასდროს, უჭირს საქართველოს.

მჯერა, არავის მოეჩვენება გადაჭარბებულად თუ ვიტყვი, რომ აშკარად ვდგავართ კატასტროფის წინაშე.

ერთი დაუფიქრებელი მოძრაობა, ერთი გაუაზრებელი მოქმედება, ერთი უადგილოდ წამოსროლილი მოწოდებაც კი და, შეიძლება, ყველაფერი უფსკრულში გადავიჩეხოთ.

მე მტკიცედ მჯერა, რომ ქართველები მართალნი ვართ ყველას წინაშე, ვინც კი ჩვენს წინააღმდეგ ხმა აიმაღლა.

იმასაც მოვესწარით, ქართველებს საქართველოში ხოცავენ მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ქართველები არიან.

სწორედ ამ გაუგონარ, არნახულ სიტუაციაში გვჭირდება ერთსულოვნება, გონიერება, გააზრებული ტაქტიკური და სტრატეგიული მოქმედება.

სწორედ ამ გაუგონარ სიტუაციაში გვჭირდება ერთ მძლავრ მუშტად შეკვრა, შედუღაბება.

ჩვენ კი რას ვაკეთებთ?

თითქოს ცხრა აპრილმა გაგვაერთიანა და გაგვამთლიანა, მაგრამ, სამწუხაროდ, მოჩვენებითია ჩვენი კონსოლიდაცია!

მცდარია ჩვენი მოქმედებანი!

შექმნილია მრავალი დაჯგუფება, რომლებსაც არა და არ უნდათ, ერთმანეთში საერთო ენა გამონახონ!

ახალგაზრდობა მოწყდა უფროს თაობას, ე. ი. მოწყდა გამოცდილებას, განათლებას, მოწყდა იმ თვისებებს, რომლებმაც უნდა შეავსოს და დაამძიმოს ახალგაზრდული სიფიცხე და ენერგია.

რატომღაც უარყოფილია ცოდნა, განათლება, პროფესიონალიზმი, წარსულის დამსახურება და პიროვნების ავტორიტეტი.

რატომღაც დავივიწყეთ ერთმანეთის პატივისცემა, ყურადღებით მოსმენა, მოსაზრებათა გაზიარების კულტურა.

რატომღაც ისე ვიქცევით, თითქოს ამ დაჯგუფებებისათვის მთავარი საქართველოს კეთილდღეობისათვის ბრძოლა კი არ იყოს, არამედ რაღაც სპორტული შეჯიბრი, მხოლოდ პირველობის მოპოვების ჟინი და სურვილი.

აბა გაბედე და გამოთქვი რაიმე აზრი რომელიმე დაჯგუფების მოსაზრების წინააღმდეგ!

აზრის ტერორმა და მონოპოლიზაციამ წარსულში რა სიკეთე მოგვიტანა, დღეს ან მომავალში რომ მოგვიტანოს.

ისინი, ვინც დღეს საწარმოებში დარბიან, ტრანსპორტს აჩერებენ, თვით ისეთ ქარხნებსაც კი მოუწოდებენ ტექნოლოგიური ციკლი შეაჩერონ, რომლის შეჩერებაც არ შეიძლება, რატომ ჰგონიათ, რომ მთელი ქართველი მოსახლეობის სურვილს გამოხატავენ?

იმ რამდენიმე ათეულმა კაცმა, ენგურჰესის გაჩერება რომ მოინდომა, რატომ ეგონათ, რომ ქართველი ხალხი იზიარებდა მათ გადაწყვეტილებას? ჰკითხეს ხალხს აზრი, ან აზრად კი მოუვიდათ დაინტერესებულიყვნენ, იზიარებს თუ არა ერი მათ ასეთ რადიკალურ მოქმედებას?

ან ნაფიქრი და გააზრებული გვაქვს, რას მოგვიტანს ასეთი აქციები?

ძალზე სამწუხაროა, რომ ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდებს, უფროსი თაობის წარმომადგენლებს, საქართველოს, სამშობლოს ბედ-იღბალზე სერიოზულად შეშფოთებულ და დაფიქრებულ მამულიშვილებს მიეტმასნენ ხელმოცარული ადამიანები, რომლებმაც იპოვეს უშრომელი დიდების იოლი გზა. ჩამორჩენილი და გარიცხული სტუდენტები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, სხვადასხვა ფენის და დარგის წარმომადგენლები, თავისი ნიჭით რომ ვერაფერი შექმნეს, ახლა განსაკუთრებით აქტიურობენ და სუპერრადიკალური ლოზუნგებით ცდილობენ ყურადღების მიქცევას, სახელის მოპოვებას, არად დაგიდევენ, რა მოჰყვება მათ ლოზუნგებს, სულაც არ ანაღვლებთ, რა მოჰყვება მათ საქციელს.

ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ელვარება სერვანტესის ბრძნულ სიტყვებს, დაუფიქრებლად ლაპარაკი იგივეა, რაც დაუმიზნებლად სროლაო.

სწორედ ასეთი ადამიანების მიერ წამოსროლილმა გაუაზრებელმა მოწოდებებმა და ლოზუნგებმა გაგვინაწყენა ხალხი როგორც რესპუბლიკაში, ასევე მის საზღვრებს გარეთ.

სწორედ ასეთი ცალკეული პიროვნებების მიერ გადმოსროლილი ლოზუნგები გაასაღა როდიონოვმა სსრკ უმაღლესი საბჭოს ყრილობაზე მთელი ერის ფიქრისა და სურვილის გამომხატველ ლოზუნგებად. ამიტომაც დაიმსახურა მქუხარე ოვაცია.

ამ მოწოდებების სახით ჩვენს მოწინააღმდეგეებს ხელში მივეცით უძლიერესი კოზირები, რომლებსაც საკმაო ოსტატობით და წარმატებით იყენებენ ჩვენსავე წინააღმდეგ. ამ კოზირებით ისინი არცთუ წარუმატებლად ნიღბავენ საკუთარ ჩანაფიქრს, უცოდველ კრავად აჩვენებენ ქვეყანას თავს. ჩვენ კი ნაციონალისტებად, უფრო მეტიც, დამპყრობლებად და შოვინისტებადაც გვაცხადებენ.

მოქმედების დროს რატომღაც ჩვენ დავივიწყეთ, რამოდენა მნიშვნელობა და ფასი აქვს ჩანაფიქრს. განა შეიძლება მოჭადრაკემ წინასწარ განაცხადოს თავისი მომავალი სვლები?!

რატომღაც, საერთოდ დავივიწყეთ, რა არის დიპლომატია! და თუ გადავხედავთ მსოფლიოს ისტორიას, გაგვახსენდება რომ ომი არ მოუგია მხოლოდ ხმალს. ბრძოლის მოგებას მხოლოდ სწორი, შორს გამიზნული და შორსმჭვრეტელური დიპლომატია განაპირობებდა.

და თუ ჩვენ საქართველოს ბედი ნამდვილად გვაღელვებს, ნუ მოგვხიბლავს გულუბრყვილოთა და უმეცართა ტაში, ნუ მოგვხიბლავს იოლად მოპოვებული წარმატება, მთავარი ის კი არ არის, მოვიგოთ დღევანდელი შეტაკება, მთავარია მივაღწიოთ საბოლოო მიზანს.

ჩვენმა გათიშულობამ, განსხვავებულ მოსაზრებათა გამო ურთიერთუპატივცემულობამ, ერთიანი სამოქმედო გეგმის უქონლობამ და გაუანალიზებელმა, არ მეშინია მე ამ სიტყვის თქმა, სტიქიურმა მოქმედებამ, ჩვენდა სამწუხაროდ, უკვე მოგვიტანა სავალალო შედეგები. ქართულმა სამართლიანმა მოძრაობამ გარკვეულწილად უკვე დაკარგა სიმპათია და თანაგრძნობა არამარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. მოგვაკერეს რა ნაციონალისტობის იარლიყი, გადაგვიდგა ბევრი ჩვენი გუშინდელი მეგობარი საბჭოთა და უცხოელი მეცნიერი, შემოქმედებითი ინტელიგენციისა თუ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელი, პრესის, რადიოს, ტელევიზიის მუშაკები. უცხოეთის ზოგიერთმა ქვეყანამ უარიც კი განაცხადა ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივების მიღებაზე. საკმაოდ მკაცრად გვკიცხავენ უცხოეთის რადიოსადგურები და გაზეთები.

დიახ, გადაგვიდგნენ და გვკიცხავენ, რადგან ჩვენი გამოუცდელობის, გაუაზრებელი მოქმედების, აშკარა ტაქტიკური შეცდომების [illegible] შევძელით [illegible] ვერ შევძელით საბჭოთა და მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის დაგვენახვებინა [illegible] მიმდინარე პროცესების ჭეშმარიტი არსი, მისი ნამდვილი სურათი და ეს მაშინ, როცა სხვებმა მშვენივრად შეძლეს ყოვლად უსამართლო და პროვოკაციული ქმედების სამართლიანად გასაღება.

აი, რაზე გვმართებს დაფიქრება დიდსა და პატარას!

დღეს, ისე როგორც არასდროს, გვმართებს სიბრძნე და გონიერება.

დღეს, ისე როგორც არასდროს გვმართებს გააზრებული, ერთსულოვანი მოქმედება.

დღეს, ისე როგორც არასდროს, უნდა გადავდგათ მხოლოდ ისეთი ნაბიჯები, სარგებლობას რომ მოუტანს ჩვენს სამშობლოს.

თორემ... ისევ აგრუხუნდებიან ტანკები თბილისისა და არამარტო თბილისის ქუჩებში, რასაც, სხვათა შორის, ასე ითხოვენ ზოგიერთი ჩვენი „ძმები“.

თანაც აგრუხუნდებიან ერთი კვირით კი არა, როგორც 9 აპრილის შემდეგ იყო, კაცმა არ იცის, რამდენი ხნით.

ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რას ნიშნავს კომენდანტის საათი, ერთკვირიანმა მწარე ჭაშნიკმა ბოლომდე ვერ გვაგრძნობინა მისი ნამდვილი არსი.

კომენდანტის საათი ნიშნავს ყველა იმ ადამიანური უფლების ჩამორთმევას, ყველა იმ კონსტიტუციური მონაპოვარის გაუქმებას, საუკუნეობრივი ბრძოლით რომ მოიპოვა ხალხმა.

კომენდანტის საათი ნიშნავს ნებისმიერ დროს დაუკითხავად გაჩხრეკილ ნებისმიერი პიროვნების ბინას, ვინც არ უნდა იყოს იგი და რა დამსახურებაც არ უნდა ჰქონდეს მშობლიური ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე.

კომენდანტის საათი ნიშნავს ადამიანის პიროვნების, ერთგულობის, კაცობის შეურაცხყოფას, გულში ჩაკლულ ბოღმას, თანდათანობით და ნამებით რომ მოგიღებს ბოლოს, ანდა პირდაპირ შუბლში ნასროლ ტყვიას.

ტყუილად ნუღარ გვექნება სიმართლისა და კანონის იმედი.

ძველი ჭეშმარიტებაა, იარაღის ზრიალში არ ისმის სიმართლის ხმა!

გურამ ფანჯიკიძე.

გაღმა შეედავე და გამოღმა შეგრჩება...

24 ივლისის სატელევიზიო პროგრამა „მოამბის“ შემდეგ სოხუმში მთავარი სასაუბრო თემა პარტიის გუდაუთის რაიკომის პირველი მდივნის კონსტანტინე ოზგანის გამოსვლაა. მისმა ცდამ, ექსტრემისტების თავდასხმა ქართველებისათვის გადაებრალებინა, აღაშფოთა ხალხი.

ჩვენ აქამდე განგებ არაფერს ვწერდით უიარაღო ხალხის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკითა და ცინიზმით ჩადენილი დანაშაულის შესახებ. მაგრამ, ამჯერად, ალბათ, საჭიროა ზოგიერთი მომენტი მაინც გავაცნოთ მკითხველს, პატივცემული პარტიული მუშაკის განცხადების პასუხად.

როდესაც რუსთაველის სახელობის პარკში სოხუმელთა საყვარელი ჭაბუკი ვოვა ვეკუა თავგაჩეხილი დაეცა, სულთმობრძავს მეორედაც მოუნაცვლეს რკინის კეტი.

როდესაც ალყაშემორტყმულ №1 სკოლაში გამომწყვდეული, მშიერ-მწყურვალი ადამიანებისათვის სურსათის შეტანა სცადეს, ცაგერის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკებს, მილიციის კაპიტანს გულნერ დუნდუასა და უფროს ლეიტენანტს მევლუდ ჩაკვეტაძეს ისეთი დღე აყარეს, რომ პირველი მათგანი დღესაც სამედიცინო იზოლატორში წევს მიღებული ნერვული შოკის გამო, მეორე კი მარჯვენა ხელს ვერ ხმარობს. აგლეჯილ სამხრეულებსა და წართმეულ პირადობის მოწმობაზე, დალეწილ ავტომანქანაზე ლაპარაკიც აღარ ღირს.

იმ საბედისწერო ღამეს სოხუმის სასწრაფო დახმარების სადგურის № 1 ცვლა (ცვლის უფროსი — ქეთევან თოლორაია) მორიგეობდა. მოუსმინეთ ექიმებს — მარინე მამულიას, მედეა თოლორაიას, ნატო ქაჯაიას, ალინა ხაგბას, ვიაჩესლავ შანშინს, ნანა ჯინჯიხაშვილს, ნადეჟდა ბარხატოვას, გენადი გვალიას, ნაირა ხორავას, ვალერი მესხს, იგორ ღვინჯილიას, მედდებს — ნათელა წულუკიძეს, ზაირა კვარაცხელიას, გალინა გვალიას, შურა სილაგავას, კლარა ბულიას, მედეა ძაძამიას, ნატო ახალაძეს, ნელი მაკარიძეს, მძღოლებს — ამირან ჯულაძეს, არშაკ დოლმანიანს, რუსლან ეჩანოვს, შოთა მილორავას, სლავა იუსუპოვს, ალექსანდრე აშარიანს, ამ სადგურის ინჟინერს ბესიკ მამუკელაშვილს, რომელიც ბოლოს ნაცემი მძღოლის ნაცვლად მართავდა სასწრაფო დახმარების მანქანას, და მიხვდებით, რა ხდებოდა იმ ღამეს ქალაქში და ვინ ძალადობდა.

გრძელი სია გამოგვივიდა, მაგრამ არ შეიძლება რომელიმეს გამოტოვება, ისინი იმ დღის გმირები და უტყუარი მოწმეები არიან. მოქმედებდნენ, როგორც ფრონტის წინა ხაზზე, სასწორზე არა მარტო დაჭრილთა, არამედ მათი სიცოცხლეც და ადამიანური ღირსებაც იდო. ბოლოს გამოძახებით კი აღარ გადიოდნენ, არამედ ქუჩებში, პარკებში თვითონ ეძებდნენ დაჭრილ-დასახიჩრებულთ.

პირველი დაზარალებული ამბულატორიულად მიიღო ექიმმა დ. გვალიამ. 45 წლის მუხურელი გ. გახარია შვილთან ერთად მისულიყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში საბუთების შესატანად და პირველი სკოლის წინ უცემიათ, რატომ აფხაზური არ იციო.

პირველ სკოლასთან, საიდანაც განუწყვეტლივ ითხოვდნენ დახმარებას, ექიმ ნ. ჯინჯიხაშვილის ბრიგადას გარს შემოერტყნენ რკინის კეტებითა და ქვებით შეიარაღებული გახელებული ადამიანები, მანქანას მინები ჩაუმსხვრიეს და გამოაბრუნეს. შემდეგ ერთბაშად 5 ბრიგადა გაიგზავნა, მაგრამ ისევ უშედეგოდ. ექიმ თოლორაიას ხალათი შემოახიეს, მძღოლი ა. დოლმანიანი სცემეს. ექიმ შანშინს მანქანიდან გადათრევა დაუპირეს, მანქანას მინები ჩაუმსხვრიეს. როდესაც მედდა ზ. კვარაცხელიამ შეკითხვაზე აფხაზურად ვერ გასცა პასუხი, მოკვლა დაუპირეს, მხოლოდ მძღოლის სიმკვირცხლემ იხსნა ბრიგადა.

ექიმების მ. მამულიას, ი. ღვინჯილიასა და ნ. ჯინჯიხაშვილის ბრიგადებმა დაზარალებულთა მიყვანის შემდეგ ღამის 2 საათიდან დილის 7 საათამდე ვერ გამოაღწიეს პირველი საავადმყოფოდან, რომელსაც განუწყვეტლივ უშენდნენ ტყვიის წვიმას. ასეთივე ვითარებაში აღმოჩნდნენ ა. ხაგბას, მ. თოლორაიას, ნ. ქაჯაიას ბრიგადები რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

ექიმმა ნ. ბარხატოვამ უმძიმეს პირობებში სიცოცხლის რისკით, ძალადობისა და მუქარის მიუხედავად საავადმყოფომდე არა ერთი კაცი მიიყვანა.

ცინიზმის, უაზრო სისასტიკის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ არ ღირს, მკითხველის ნერვებს გავუფრთხილდებით. რაც ვთქვით, იმიტომ კი არა, რომ ვინმე გავაღიზიანოთ და ვინმეს წინააღმდეგ ავამხედროთ, არამედ იმიტომ, რომ კ. ოზგანის ვერსიას ჭეშმარიტების ნათელი მოეფინოს.

რაიკომის პირველმა მდივანმა ბრძანა: გუდაუთაში არც ერთი ქართველისათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ, თითიც არ დაუკარებიათო.

არა? მაშინ ამ ფაქტს რა ვუყოთ: 16 ივლისს გუდაუთაში საჩხერიდან ჩასული ცამეტი მოქალაქე, რომლებიც აგურის ქარხნის მშენებლობაზე მუშაობდნენ, დაიჭირეს და უღმერთოდ სცემეს. ისინი სოფელ ორჯონიკიძის ქართულმა მოსახლეობამ შეიფარა. მათი იქიდან გამოყვანა მხოლოდ 22 ივლისს მოხერხდა.

გუდაუთელ ქართველთა ცეცხლწაკიდებული სახლები სად წავიღოთ, ან ამ რაიონში მოკლულების — გივი ლობჟანიძისა და მილიციის მუშაკის რამინ ჩოჩიას ოჯახებს რა პასუხი გავცეთ?

მალავს, პასუხისმგებლობას თავს არიდებს კ. ოზგანი!

თვით რესპუბლიკის პროკურორი ვ. რაზმაძე ადასტურებს, რომ აფხაზეთში სისხლისღვრის ორგანიზატორთა, წამქეზებელთა შორის ისინიც არიან, ვისაც ამ ამბების აღკვეთა, ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ევალება.

განა 15-16 ივლისის აქცია მოულოდნელი, ხალხის წუთიერი აფექტის შედეგი იყო? განა მანამდე ერთი კვირით ადრე არ მივიდა პირველ სკოლაში, ფილიალის მუშაკებთან აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. კობახია ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის რამდენიმე წევრთან ერთად, და არ გააფრთხილა, რომ ფილიალის ცალკე არსებობამ შეიძლება განსაკუთრებული გართულებები გამოიწვიოსო. ორი დღის შემდეგ მისულმა ხანდაზმულთა დელეგაციამ კი ხაზგასმით თქვა — სისხლი დაიღვრებაო. „სისხლი დაიღვრება“, „მეორე ფერღანას მოვაწყობთ“ — აშკარად და დაუფარავად ისმოდა. მაგრამ ამას წინ არავინ გადასდგომია, — სისხლი დაიღვარა!

და თუ შეგინებული, შეურაცხყოფილი, ახლობლებდახოცილი ქართველების მხრიდანაც იყო სამაგიეროს გადახდის შემთხვევები (ასეთი შემთხვევები, მართლაც, იყო), ეს საერთო სურათს სულაც არ ცვლის.

ახლა იმის დრო არ არის, ერთმანეთს ხელი შევაწმინდოთ. ჯერ ხანძარი ჩავაქროთ, მთელი სახლი რომ არ დაგვეწვას, ცეცხლის წამკიდებელს მერე ვიპოვით. ყველაფერი გაირკვევა და დაზუსტდება, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, დამნაშავეს მიეზღვება! ახლა გონივრული მოქმედების ჟამია. თავიდან ავირიდოთ შესაძლო გართულებები, მშვიდობა დავამყაროთ ორ ხალხს შორის — ეს არის მთავარი.

სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა 24 ივლისს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში გამართული თათბირი ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული აქტივის მონაწილეობით.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ხიშბამ შეკრებილთ გააცნო უკანასკნელ დღეებში ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობა, ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის ეწევა პარტიის საოლქო კომიტეტი. პარტიული კომიტეტების ყურადღება მიეპყრო იმის აუცილებლობას, რომ მათ არ უნდა დათმონ ინიციატივა, გავიდნენ მასებში, მოძმე ხალხებს შორის ნდობის აღსადგენად შეუდგნენ ფართო განმარტებით მუშაობას.

ინფორმაციებით გამოვიდნენ აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი მ. ჩულკოვი, აფხაზეთის ასსრ პროკურორი ა. კვიწინია და აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ა. აქბა. შემდეგ პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს საოლქო კომიტეტების წევრებს და აპარატის მუშაკებს დაევალა გავიდნენ ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონებში და ინფორმაციები მიაწოდონ მოსახლეობას მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის გაწეულ ღონისძიებებზე, ფართო განმარტებითი მუშაობა გაშალონ ავტონომიურ რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის. ამ მიზნით შექმნილია რვა ჯგუფი, რომელთაც სათავეში უდგანან პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები.

სოხუმის ქუჩებში დღითიდღე მატულობს გამოცოცხლება: ქალაქის სამრეწველო საწარმოთა ნახევარი უკვე შეუდგა საქმეს. ნაწილობრივ მოწესრიგდა ტრანსპორტის მიმოსვლა — განახლდა ავტობუსით, ტროლეიბუსით, ტაქსით მგზავრობა. გამოჩნდა სანიტარიული დასუფთავების მანქანები. მთელი დატვირთვით მუშაობს რკინიგზის კვანძი, აეროპორტი, ნავსადგური.

— წასვლა გვქონდა გადაწყვეტილი. მართალია, ჩვენთვის არავის შეურაცხყოფა არ მოუყენებია, მაგრამ აქ ყოფნა მაინც ძალზე საშიში და მოუხერხებელი იყო. უტრანსპორტობის გამო ვერ გავაღწიეთ. ახლა დარჩენასაც კი ვაპირებთ — ქალაქში მშვიდობიანობა მკვიდრდება, ცხოვრება თანდათან კალაპოტში დგება, — გვითხრეს სანაპიროზე ყავის სმით გართულმა მოსკოველმა ინჟინერმა ვ. პავლოვამ, ხარკოველმა პედაგოგმა ნ. კრავჩუკმა, კუიბიშეველმა რკინიგზელმა ა. მალკინმა და სარატოველმა იურისტმა ა. ფედოროვამ.

გრძელდება იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარება და ჩამორთმევა. მომხდარ ამბებთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა ორგანოებმა ჯერჯერობით 38 სისხლის სამართლის საქმე, პროკურატურამ — 13 საქმე აღძრეს.

25 ივლისს გლოვის დღეა სოხუმში. მძიმედ ფრიალებენ რესპუბლიკის დახრილი, შავარშიიანი დროშები...

დღეს ქალაქი დაემშვიდობა ვერაგულად მოკლულ ვოვა ვეკუას. ათასობით კაცმა გააცილა იგი უკანასკნელ გზაზე. არ ისმის მოთქმა-გოდება. თავჩაქინდრული, ცრემლგამშრალი ადამიანები მდუმარედ აცილებენ ადრე წასულ კაცს, რომელიც ავერიონგად დააკლდა მშობლიურ ქალაქს.

გლოვის დღე.. მისმა სიმძიმემ თითქოს წელში გადრიკა მშვენიერი სოხუმი — ძმათამკვლელობის უნებლიე მოწმე და მონაწილე.

• • •

ჩვენს 23 ივლისის მასალაში „კომენდანტის საათი არ იქნება“, ტელეფონით გადავეცით, რომ სოხუმში გაიმართა „გავლენიანი ხალხის“ შეკრება, მაგრამ სარედაქციო სწორების გამო ეს „კანონიერ ქურდებად“ დაკონკრეტდა, რაც სწორი არ არის. იგი ათასი ჯურის ადამიანების თავყრილობა იყო.

ალექო ასლანიშვილი.
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი;

იოსებ გობეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
სოხუმი. 1989 წ. 25 VII.

აფხაზეთის გზებზე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფები კვლავ ამოწმებენ ავტომანქანებს, ადგენენ მოქალაქეთა ვინაობას.

საქინფორმის ფოტო.

ძმობისა და ერთობის მიტინგი ცხინვალში

ცხინვალის საქალაქო სტადიონზე 24 ივლისს, სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ გაიმართა მიტინგი, რომელზეც მოვიდნენ არა მარტო სამხრეთ ოსეთის, არამედ აგრეთვე რესპუბლიკის სხვა რაიონების მშრომელები და მცხოვრებნი. მისი მონაწილენი, ძირითადად ოსები და ქართველები, შეიკრიბნენ, რათა ერთხელ კიდევ შეეხსენებინათ ყველასათვის, რომ ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, ოსებს მოძმე ქართველი ხალხისათვის ეღალატოთ, ისინი მუდამ ქართველებთან ერთად იყვნენ ჭირსა და ლხინში.

ასე იყო წინათ, და ასე იქნება მუდამჟამს, ამბობდნენ ორატორები ოსურ და ქართულ ენებზე. ისინი ერთმანეთს ცვლიდნენ ტრიბუნაზე და ყოველი მათგანი სვამდა კითხვას: როგორ მოხდა, რომ ჩვენს საუკუნო მეგობრობას ზოგ-ზოგები საეჭვოდ ხდიან? საიდან მოდის ეს უნიადაგო ჭორები?

ყველა გამომსვლელის განცხადებები და სიტყვები, ორატორთა ეროვნების მიუხედავად, გამსჭვალული იყო ერთი აზრით, რომ საჭიროა კონსოლიდაცია, რომ ყველანი ერთად უნდა წინააღვუდგეთ ჭორებს, პროვოკაციებს, რომლებიც ესოდენ ამწვავებს ვითარებას. მაგალითად, სამხრეთ ოსეთში გავრცელდა თავისი სიბილწით მართლაც რომ შემზარავი ჭორი, ზუგდიდიდან აქეთ მოდისო შეიარაღებული რეციდივისტების ჯგუფი, ხოლო ახლო-მახლო მდებარე ხაშურის, ქარელისა და გორის რაიონებში ხმა დაირხა, ოსები იარაღდებიან და აფხაზთა დასახმარებლად მიდიანო. იყო სხვა ყოვლად წარმოუდგენელი, ბრიყვული და პროვოკაციული მონაჩმახები. საბედნიეროდ, მითქმა-მოთქმას არ მოჰყოლია კონფლიქტები. მაგრამ სიტუაცია უაღრესად დაძაბულია ისევ და ისევ იგივე ჭორების უნდობლობის გამო ამ ბოლო თვეებსა და დღეებში რომ ჩამოაგდეს მეზობლებს შორის.

მიტინგის მონაწილეებმა გამოთქვეს იმედი, რომ გონიერება გაიმარჯვებს და ამ რთულ სიტუაციაში როგორც ოსები, ისე ქართველობა გამოიჩენენ ჩვეულ თავდაჭერას და სიდარბაისლეს, არ აჰყვებიან პროვოკაციულ ჭორებს, ყოველნაირად ეცდებიან მდგომარეობის სტაბილიზაციას მთელ რესპუბლიკაში, რომ ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობა და ერთობა კვლავ დაამტკიცებს თავის მაღალ მოწოდებას, მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს, და ღირსეულად გაუძლებს ამ, კიდევ ერთ განსაცდელს.

მიტინგს დაესწრო სამხრეთ ოსეთის პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. გ. ჩეხოევი. (საქინფორმი).

სატურნირო ორბიტა

● **კლასიკური ჭიდაობა.** ბუქარესტი. საერთაშორისო შეჯიბრში, კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც რუმინეთის დედაქალაქში მიმდინარეობდა, საქართველოს ნაკრების წევრებიც მონაწილეობდნენ. ქართველმა სპორტსმენებმა ამ ტურნირში, სხვადასხვა წონით კატეგორიაში, წარმატებებს მიაღწიეს. კერძოდ, გამარჯვებულთა შორის არიან ბეგი დარჩია (82 კგ-მდე), რამაზ გაბადაძე (90 კგ-მდე) და თენგიზ თევდორაძე (100 კგ-მდე). დანარჩენ შვიდ წონით კატეგორიაში მეწინავეობდნენ მასპინძლები. შეჯიბრში მონაწილეობდნენ პოლონელი, თურქი და იუგოსლავი სპორტსმენებიც.

● **ჭადრაკი.** ბერნი. დიდოსტატების — ლევ პოლუგაევსკისა და იუგოსლავი ივანე სოკოლოვის შეხვედრა, რომლებიც ლიდერობენ შვეიცარიის ქალაქ ბილეს საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში, მეოთხე ტურის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ეს ორთაბრძოლა ყაიმით დამთავრდა, ასეთივე შედეგი აღინიშნა ვლასტიმილ გორტისა (გფრ) და ფერდინანდ ჰელერსის (შვეცია), ვასილი ივანჩუკისა და ენთონი მაილსის (აშშ), აგრეთვე ნიკ დე ფირმიანისა (აშშ) და ეუგენიო ტორეს (ფილიპინები) შეხვედრებში.

ყაიმზე შეთანხმდნენ მაილსი და ფირმიანი. ეს მათი გადადებული პარტია იყო.

ოთხი ტურის შემდეგ 3 ქულით კვლავ სოკოლოვი ლიდერობს, მეორე ადგილზეა პოლუგაევსკი — 2,5; გორტს, ივანჩუკს, ტორესა და მაილსს 2 ქულა აქვთ, ხოლო ფირმიანსა და ჰელერსს — თითო-თითო.

● **ჩოგბურთი.** როგორც შარშან, წლეულსაც დევისის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში ვაჟთა გუნდებს შორის ერთმანეთს შეხვდებიან დასავლეთგერმანელი და შვედი ჩოგბურთელები. ამ საპატიო თასის ახლანდელმა მფლობელებმა, დასავლეთგერმანელმა სპორტსმენებმა ნახევარფინალურ მატჩში, რომელიც მიუნხენში გაიმართა, დაამარცხეს ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი ანგარიშით 3:2, ხოლო შვედებმა, ასევე საკუთარ მინდორზე ბასტადში აჯობეს იუგოსლავებს — 4:1.

საბჭოთა ჩოგბურთელები, რომლებიც შეხვდნენ მექსიკის გუნდს, დამარცხდნენ — 1:4.

ევგენი დელავერი

გარდაიცვალა „საქფრინველმრეწვის“ რესპუბლიკური საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანების თავმჯდომარის ყოფილი პირველი მოადგილე, 1957 წლიდან სკკპ წევრი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, რესპუბლიკის დამსახურებული ზოოტექნიკოსი ევგენი ალექსანდრეს ძე **დელავერი.**

იგი დაიბადა 1928 წელს. უმაღლესი ზოოტექნიკური განათლების მიღების შემდეგ, 1952-1953 წლებში სპეციალობით მუშაობდა კრასნოდარის მხარეში. 1953 წლიდან იყო მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მთავარი ზოოტექნიკოსი, ხოლო შემდეგ, 1958-1963 წლებში — წალკის ზოოვეტერინარული ტექნიკუმის დირექტორი.

1963 წლიდან ე. დელავერი პარტიულ სამუშაოზეა. იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, 1970 წელს ირჩევენ პარტიის წალკის რაიკომის პირველ მდივნად. არჩეული იყო საქართველოს სსრ VIII მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრად.

1974-1976 წლებში იგი მუშაობდა ჯერ „საქცხოველმრეწვის“ რესპუბლიკური გაერთიანების, 1976-1988 წლებში კი „საქფრინველმრეწვის“ რესპუბლიკური საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანების თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. 1988 წლიდან ე. დელავერი პერსონალური პენსიონერია.

კარგი მოქალაქის, გულისხმიერი ადამიანის, კეთილშობილი ამხანაგის ე. დელავერის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და ახლობლების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ფილარეტ ხვისტანი

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს ოპერრწმუნებული, მილიციის კაპიტანი, 1971 წლიდან სკკპ წევრი, ფილარეტ ილოს ძე **ხვისტანი.**

იგი დაიბადა 1947 წელს. მესტიის რაიონის სოფელ იფარში გლეხის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა დაიწყო კოლმეურნეობაში. საიდანაც გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. დემობილიზაციის შემდეგ იქვე განაგრძო მუშაობა. შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობა დაიწყო 1974 წელს. სხვადასხვა დროს მუშაობდა სისხლის სამართლის სამძებროს უმცროს ინსპექტორად, უბნის ინსპექტორად; 1982 წელს დააწინაურეს შინაგან საქმეთა მესტიის რაიგანყოფილების უფროსის მოადგილედ, ხოლო 1986 წლიდან საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის სამძებრო სამსახურშია.

ფ. ი. ხვისტანმა შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობისას თავი გამოიჩინა როგორც გულისხმიერმა, კომპეტენტურმა და ენერგიულმა მუშაკმა. მისი უშუალო მონაწილეობით დაკავებულ და გაუვნებელყოფილ იქნა არაერთი საშიში დამნაშავე და რეციდივისტი, რისთვისაც დაჯილდოებული იყო მედლებით. იმ დღესაც იგი ხელმძღვანელობის პასუხსაგებ ოპერატიულ დავალებას ასრულებდა საშიშ დამნაშავეთა განიარაღების მიზნით, მაგრამ, სამწუხაროდ, გარეწართა ტყვიით დაიღუპა.

ფ. ი. ხვისტანის ხსოვნა მუდამ დარჩება იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო.



ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, აღმოსავლეთის ქარი 9-14, ალაგ-ალაგ 15-20 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 25-30, მთაში 21-26, მაღალმთიანეთში 15-20 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — უმეტეს რაიონში ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, შესაძლებელია სეტყვა, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ბარში 25-30, მთაში 20-25, მაღალმთიანეთში 15-20 გრადუსი.

თბილისში: ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — 28-30 გრადუსი.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

ტელევიზია — ოთხშაბათი, 26 ივლისი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ქინკებთან არ ხუმრობენ“. 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.55 — „როგორ მოვაწყოთ ეკონომიკური შეჯიბრება“. 18.25 — „ზრუნვა“. 19.15 — ახალგაზრდობისათვის. „სულ ცოტა რამ ბედნიერებისათვის“. 20.00 — მოამბე. 20.35 — „სახალხო კონტროლის ეკრანი“. 21.10 — „ჰარლემ-ბალეტი“ თბილისში. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ქართული მხატვრული ფილმი „ოთარაანთ ქვრივი“.

მეორე პროგრამა. 16.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი „იამზე ციხის ნაშალი“. 17.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აი, ასე ვცხოვრობ“. 17.55 — მხატვრული ფილმი „ზოოპარკს ესიზმრება“. 19.05 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „ყალბი უფლისწული“. 21.50 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“. 22.00 — „ვრემია“. (თბილისის ტელევიზიის პროგრამაში მოსალოდნელია ცვლილებები).

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — მულტფილმი. 10.15 — „ცისარტყელა“. ეგვიპტის მუსიკალური პროგრამა. 10.40 — მხატვრული ტელეფილმი „თავისუფალი მსროლელი“ ბერლინში“. 12.10 — „მსოფლიოს გარშემო“. 13.10 — ფეხბურთი. მინსკის „დინამო“ — „დნეპრი“. მე-2 ტაიმი. 16.35 — მხატვრული ტელეფილმი „სიყვარული ამ ასაკში“. II სერია. 17.35 — კონცერტი. შოპენის ნაწარმოებები. 18.15 — „კატა ლეოპოლდის თავგადასავალი“. V სერია. 18.25 — დოკუმენტური ფილმი. 18.55 — ტელექო. 19.25 — ფეხბურთი „სპარტაკი“-„ტორპედო“. შესვენებისას — 20.15 — დღეს მსოფლიოში. 21.20 — მუსიკალური ბაზრობა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — სიმღერები სერგეი ოსტროვსკის ლექსებზე. 0.15 — დღეს მსოფლიოში. 0.30 — „ალისია ალონსო სცენაზე და ცხოვრებაში“ (კუბა).

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.55 — „კონცერტის წინ“. ფილმ-კონცერტი (თბილისი). 10.15 — მულტფილმები პ. ბაჟოვის ზღაპრების მიხედვით. 10.55 და 13.30 — გერმანული ენა. 11.25 — დოკუმენტური ტელეფილმი „საბჭოთა ჯარისკაცის ერთი დღე“. 11.45 — მღერის ტ. ხოხლოვა. 12.00 — ახალი ამბები. 12.10 — მხატვრული ტელეფილმი „შავი ზღვის ტალღები“. VII სერია. 13.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 14.00 — ახალი ამბები. 14.10 — „მოგილოცავთ ახალ წელს!“. მხატვრული ტელეფილმი სერიიდან „მაიორ ზემანის 30 შემთხვევა“. 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — მხატვრული ტელეფილმი „მძევალი ბელა ვისტაში“. სერიიდან „მაიორ ზემანის 30 შემთხვევა“. 19.30 — ბელორუსიის სახტელერადიო. 20.25 — დროებისა და საკუთარი თავის შესახებ. ბორის პასტერნაკი. 20.45 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.00 — სსრკ უმაღლესი საბჭოს სესია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „მძევალი ბელა ვისტაში“. სერიიდან „მაიორ ზემანის 30 შემთხვევა“. 24.00 — ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ქალები. 0.45 — ახალი ამბები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 უე 10459 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, [illegible]